ვაგრძელებ „ქართლის ცხოვრების" ლიტერატურულ–ისტორიული ესსეების ციკლს. ამჯერად მინდა დავიწყო ძველი „ქართლის ცხოვრების" ყველაზე შორეული პრეისტორიული ფესვების ძიებით, იმით, რაც ყველაზე ბინდით მოცულია ჩვენთვის ათასეული წლების იქით...

ჩვენი დალოცვილი ფოლკლორიც ხშირად გვახსენებს ამ საიდუმლოებით მოცული დრო–ჟამის წვდომის სურვილს და ნატვრას. „ნეტავი გამაგებინა მამა–პაპანი რა ქნილან..." — ესეც ალბათ ამ ნატვრის გამოძახილია...

„ქართლის ცხოვრების" პირველი ჟამთაღმწერლებიც გამოეხმაურნენ ამას. დავაკვირდეთ, თითქმის ყველა მათგანი, უცნობნიც და ცნობილნიც, ამ მართლაც რომ კაცობრიობის ყველაზე დიდი საიდუმლოს წვდომით იწყებენ თხრობას და ათასნაირ ვერსიებსაც გვთავაზობენ იმისას, თუ „რა ქნილან მამა–პაპანი"...

ყველა, ვისაც კი, ამქვეყნად მოსვლისას შემომქმედმა გარემომცველი სინამდვილის, მისი წარსულის, აწმყოს და მომავლის წვდომა–გათავისების სურვილი დაანათლა, სანამ ამ წუთისოფლადაა, ცდილობს რამენაირად ჩასწვდეს მას, თავისი ეს ნდომა–სურვილი დაიკმაყოფილოს რამენაირად. ჩვენგან ასე უმართებულოდ დავიწყებული „ქართლის ცხოვრება" და მისი ავტორები უამრავ მასალას გვაძლევენ იმისას, რომ მათაც ბევრი უფიქრიათ და ნაფიქრ–ნააზრევიც ბევრი გადაუტანიათ ძველ ეტრატ–ქაღალდებზე...

ავიღოთ ჩვენამდე მოღწეული „ქართლის ცხოვრების" სტრუქტურა: უცნობი ავტორის აპოკრიფი — „მსოფლიო ისტორია", „ადამის ნათესავნი" „წარღვნა", „ნოეს ნათესავნი", მერე უკვე „ქართლის ცხოვრების" ცნობილი ავტორნი — ლეონტი მროველი და მისი უცნაური „ჰაოსიან–ქართლოსიან–თარგამოსიანელთა" თეორია, ჯუანშერის განსხვავებული ვერსიები, მერე მოდის რიგი უცნობი ავტორებისა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსებისა, შემდეგ კი „ძნელბედობის" შედევრი — გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერის „ასწლოვანი მატიანე"

ქართველი ერის ბიბლიური წარმოშობის ყველაზე დიდი ჟამთაღმწერი და მამტკიცებელი „ქართლის ცხოვრების" ცნობილი თუ უცნობი მემატიანეებიდან სუმბატ დავითის ძე და მისი თხზულებაა

— „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“. საინტერესოა მისი ქვესათაურიც — „ჩვენ, ქართველ მეფეთაჲ, ღუ სადით მოაწივნეს ამას ქვეყანას, ანუ, რომლის ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისმან“.

თხზულებას აშკარად ეტყობა, რომ მისი ავტორი რაღაც ძველ ისტორიულ წყაროს ეყრდნობა. იგი პირდაპირ იწყებს „ადამის გენიალოგიის“ ჩამოთვლით — „ადამ შვა სეით, სეით შვა ენოს...“ და გრძელ ჩამონათვალში, რომელიც 100-მდე თაობას მოიცავს, გამოკვეთილად არის მოხსენიებული — „დავით მეფე“, გამოკვეთილად იმიტომ, რომ ამ ტიტულით თხზულებაში არცერთი სხვა პიროვნება არ არის მოხსენიებული დავითის გარდა:

„...იობედ შვა იესე, იესემ შვა დავით მეფე, დავით მეფემან შვა სოლომონ, სოლომონ შვა რობუა, რობუამ შვა აბია...“.

ივანე ჯავახიშვილი სუმბატ დავითის-ძის თხზულებას ძველი „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა შორის „ყველაზე სანდო წყაროს“ უწოდებს და როცა სხვადასხვა ფაქტებისა და მოვლენების აღწერისას სხვადასხვა წყაროებს შორის მის წინაშე არჩევანის საკითხი დგება, ბატონი ივანე უყოყმანოდ უპირატესობას სუმბატის თხზულებას ანიჭებს. აი, როგორ აღწერს სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონთა შემოსვლას და დამკვიდრებას საქართველოში:

„... ისაკ შვა დან. დან შვა სოლომონ. სოლომონ შვა შვიდნი ძმანი, რომელნიცა მისცა ღმერთმან ტყვეობასა შინა ბაბილონისა... ხოლო ეს შვიდნი ძმანი, ძენი სოლომონისანი წარმოვიდნენ ქუეყნით ფილისტიმით... და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდნენ ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ განაჩინეს ერისთავად, და ესე ქართლისა ბაგრატონიანნი შვილიშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი“.

დეტალურად გადმოსცემს სუმბატი „ბაგრატოვან ძმათა განთესვის“ არეალსაც: „ხოლო ძმა მისი საჰაკ წარვიდა კახეთს და დაეზრახა ნერსეს და სხვანი ორნი იგი ძმანი ამათნი... წარვიდენ კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსელთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი“.

„კამბეჩანი“, ანუ, „კამბეჩოვანი“ კი დღევანდელი ქიზიყია ალაზნ:ის ველის, ივრისპირეთისა და შირაქის ჩათვლით და ამ გეოგრაფიული არეალის დაფიქსირებაც სარწმუნოს და სანდოს

ხდის ბაგრატიონთა საქართველოში დამკვიდრების ამ ადრეულ სუმბატოსეულ ისტორიას, რამეთუ „სპარსეთის სპასალარის მოკვლა“ და საერთოდ, სპარსელთა გაძევება ამ რეგიონიდან ზუსტად ემთხვევა ამ პერიოდის სომხურ, სპარსულ და ბერძნულ წყაროებს. ხოლო გეოგრაფიულად ახლაც და მაშინაც კამბეჩოვანი — ქიზიყი ყველაზე ახლოა სპარსეთთანაც და ბაბილონთანაც, საიდანაც „ტყვეობიდან იქნან ლტოლვილად ჰურიანნი“...

სანდოობა და ობიექტურობა „ქართლის ცხოვრების“ ამ თხზულებისა იმითაც დასტურდება, თუ როგორ ლოგიკურად ხსნის ავტორი ბაგრატიონთა საგვარეულოს დამკვიდრებისა და განმტკიცების პროცესს მაშინდელ საქართველოში:

„ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობაი შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლებაი ქართლისაი აზნაურთა ვიდრე ამათადამდე (ე.ი. ბაგრატიონებამდე), არამედ დაესრულა უფლებაი ქართლისაი აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან“.

ეს მართლაც, ის პერიოდია, როცა ვახტანგ გორგასლის და დაჩის შემდეგ, იმძლავრეს ქართლზე ჯერ სპარსელებმა და მერე არაბებმა. ორივე დამპყრობი ძალა ეყრდნობოდა ადგილობრივ „აზნაურთა ბოროტ ძალას“. ამ მხრივ, VII–VIII საუკუნეები დიდი გამოცდა იყო ჩვენი ქვეყნისა და ერის ისტორიაში, „უმეფობის ხანას“ რომ უწოდებს ივანე ჯავახიშვილი. ვახტანგ გორგასლის დაფუძნებული თბილისი, მისი შემოგარენის ციხე-ბურჯებიც „სარკინოზთა საბრძანებელ იქნენ“.

მაშ ასე — საქართველოს და ქართული სახელმწიფოს „ფარნავაზიან-გორგასლიანი ხანა“ დამთავრდა და VII–VIII საუკუნეებისა „უმეფობის ხანაში“ ბაგრატიონები ამზადებენ ნიადაგს გააგრძელონ ჯერ კიდევ ქრისტემდე დაწყებული ეს ხანა ახალ, ქრისტიანობის შემდგომ ხანაში. ამ სამზადისში „ფარნავაზიან-გორგასლიან-ბაგრატიონთა ახალი საქართველო“ სპარსელებისა და არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში იშვა. ესეც თავისებური სიმბოლიკაა, რომ საქართველოს და ქართველ ხალხს იმ მეტად რთულ და საშიშ ჟამს, როცა მას „გაარაბებისა“ და „გასპარსელების“ რეალური საფრთხე დაუდგა, ბაგრატიონთა დინასტია ჩაუდგა სათავეში ამ საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — ამით ბაგრატიონებმა გადაარჩინეს ჩვენი

ერი ჯერ სპარსელების, მერე კი, არაბების მხრიდან ასიმილაცია — ვამაჰმადიანებას. ეს იყო ქართველი ერის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერიოდი...

ამ ბრძოლაში ივანე ჯავახიშვილი გამოყოფს ბაგრატიონთა პირველი თაობების საუკეთესო წარმომადგენელს — დავით დიდ კურაპალატს" — ბაგრატ კურაპალატის შთამომავალს, — ბაგრატიონთა „ტაოს შტოს" ფუძემდებლებს. ამ შტოს წარმომადგენელი — ადარნასე, ძე დავითისა და შვილიშვილი ბაგრატ კურაპალატისა გამოაცხადეს „ქართველთა პირველ მეფედ 888 წელსა" — წერს ივანე ჯავახიშვილი და ამ შემთხვევაშიც მთლიანად სუმბატის თხზულებას ეყრდნობა, როგორც ყველაზე სანდო წყაროს...

ამდენად, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიად დამკვიდრების თარიღი ყველა წყაროების მიხედვით IX საუკუნის დასასრულის ეს წელი—888 წელი უნდა იქნას მიჩნეული. თუ გადავხედავთ მსოფლიოს სამეფო დინასტიათა მთელ ისტორიას, ვნახავთ, რომ ბაგრატიონთა სამეფო დინასტია ერთ-ერთი ყველაზე უძველესი დინასტია აღმოჩნდება მსოფლიოში. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათ ბრძოლა უხდებოდათ მაშინდელი მსოფლიოს უამრავ დამპყრობელ ძალასთან თავისი უფლებებისა და თავისი ქვეყნის გადარჩენისთვის ბიზანტიის, არაბების, სპარსელებისა და თურქ-სელჯუკებიდან დაწყებული, მონღოლების, ოსმალეთის, ირანისა და რუსეთის იმპერიით დამთავრებული...

ერთი ნიშანდობლივი ფაქტიც მინდა ავღნიშნო აქ: „ქართველი ერის ისტორიის" მეორე ტომში ივანე ჯავახიშვილს მოჰყავს ბაგრატიონთა დინასტიის სქემა (შემდეგში მან ეს ცალკე მონოგრაფიადაც გამოსცა), რომელიც მთლიანად სუმბატის მონაცემებს ეყრდნობა. ამიტომ დასათაურებაც ასეთი მიუცია: „ბაგრატიონთა შთამომავლობის შტო მემატიანის სუმბატ დავითის ძის ცნობებისდა მიხედვით". ეს სქემა იწყება 786 წლით, რაც როგორც ჩანს, უნდა მიჩნეულ იქნას მათი საქართველოში დამკვიდრების წლად, რაც შემდგომ ორი ძირითადი სადინასტიო კლარჯეთ-არტანუჯისა და ტაოს შტოებით განვითარდა და IX–X საუკუნეებში მათი შეერთებით კი, ერთიანი სამეფო დინასტიით დამთავრდა.

„ქართველი ერის ისტორიის" I ტომში კი, ივანე ჯავახიშვილის 1913 წლის წინასიტყვაობის ასეთ საგულისხმო მინიშნებას ვხვდებით: „მე კარგად მესმის, რომ სწორედ ამის გამო (ძველი ისტორიული წყაროების მითითებათა სიმრავლის გამო — ე.ბ.), ჩემი თხზულება ძნელ საკითხავ წიგნად იქცა... მაგრამ მაინც მე საჭიროდ არ მიმაჩნია მისი განზრახ გამარტივება: ისტორია რთული მეცნიერება არის, იგი არასდროს გასართობ წიგნად არ გამოდგება და ყოველთვის შესწავლისა და ღრმა დაკვირვების საგნად უნდა იყოს".

ჭკუისსასწავლი დასკვნაა იმათთვის, ვინც თავის ნება-სურვილზე ცდილობს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გადაკეთება-გადმოკეთებას ძველ, ახალ თუ უახლეს „ქართლის ცხოვრებაში", და როგორც ბ-ნი ივანე წერს, „ისტორია რთული მეცნიერებაა" და არავინ უნდა ეცადოს „გასართობ წიგნად" აქციოს იგი. ისტორია დიახაც, რომ მუდამ მეცნიერული „შესწავლისა და ღრმა დაკვირვების საგანი უნდა იყოს", რასაც სამწუხაროდ ხშირად ვივიწყებთ დღეს და შედეგებიც არ აგვიანებს ხოლმე...

მაგრამ მივუბრუნდეთ კვლავ სუმბატის თხზულებას. თუ ყურადღებით დავაკვირდებით მის სტრუქტურას, აქ არაერთგან შევხვდებით მაშინდელი ეპოქის სხვა ისტორიული თხზულებებიდან მოყვანილ ციტატებს. ავტორი საგანგებოდ გამოყოფს მათ, რათა კიდევ უფრო მეტი დამარწმუნებლობა შესძინოს თავის ნაშრომს. აქედან ჩვენ შეგვიძლია ორი დასკვნა გავაკეთოთ:

1. აშკარაა, რომ მის ხელთ არსებობდა ქართული და აგრეთვე, სხვადასხვა უცხოური წყაროებიც, რომლებსაც იგი ეყრდნობოდა ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის გადმოცემისას. მათმა დიდმა ნაწილმა სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. შემდგომი წლების „ძნელბედობების" ეპოქებმა ისინი, ისე როგორც „ქართლის ცხოვრების" სხვა ბევრი თხზულებები, დღეს ჩვენთვის მიუწვდომელი გახადა.

2. ეს თხზულება, ისევე როგორც სხვა ბევრი მაშინდელი ისტორიული თხზულება აშკარად მიგვანიშნებს, რომ ჯერ კიდევ ქრისტიანული ეპოქის დასაწყისამდე, ძველ წელთაღრიცხვაშიც ქართველებს ჰქონდათ დამწერლობა და მაშასადამე, ლიტერატურულ-ისტორიული თხზულებების ტრადიციაც „ქართლის

ცხოვრების" წინა ეპოქებში არის საძიებელი. შეიძლება ახალმა ქრისტიანულმა იდეოლოგიამაც შეუწყო ხელი ამ კვალის წაშლას... „წერილნი სარწმუნონი" იმას ღაღადებენ, რომ ჯერ კიდევ ფარნავაზისა და ქუჯის ეპოქაში ქართული დამწერლობა და ქართული წიგნი არსებობდა. ტყუილა ხომ არ დააფიქსირა გრიგოლ ორბელიანმა ეს ნახევრად ფოლკლორული შესხმა და ქებათა-ქება ფარნავაზ მეფისა:

„ჰე, შენ ფარნავაზ, ჰქმენ ერთმთავრობა,
შენ მიეც ქართველთ წიგნი პირველი".

რა მოუვიდა ამ „პირველ წიგნს", რატომ ვერ მოაღწია მან ჩვენამდე, ეს ცალკე საკითხავია. ყოველ შემთხვევაში, სუმბატი, როგორც ობიექტური მკვლევარი და დამკვირვებელი, იმ აზრს ატარებს და ანვითარებს, რომ ბაგრატიონები აქ ცარიელ ნიადაგზე არ მოსულან და მათ მკვიდრი საფუძველი დახვდათ სულიერად და მატერიალურად ძლიერი სახელმწიფოს შესაქმნელად. ისე, რომ გამოთქმა — „ფარნავაზიან-გორგასლიან-ბაგრატიონთა საქართველო", სრულად ასახავს ჩვენი ერის და ქვეყნის ისტორიული განვითარების ამ პროცესს, მის ბიბლიურ და ანტიკურ საწყისებს...

ერთი მნიშვნელოვანი მხარეც უნდა აღინიშნოს სუმბატის თხზულებიდან — ქართველი ქალის აქტიური მონაწილეობა ქვეყნის ცხოვრებასა და განვითარებაში. თხზულება მთავრდება XI საუკუნის დასაწყისით, როცა ბაგრატ III დროს ნათლად გამოიკვეთა საქართველოს გაერთიანების დაწყებული პროცესი. ივანე ჯავახიშვილი ყველგან აღნიშნავს, რომ ბაგრატ III არის ამ დიდი ისტორიული პროცესის დამწყები და გზისგამკვალი. მართალია სუმბატ დავითის ძე ამ პროცესის შემდგომ გაგრძელებას და დამთავრებას ვეღარ მოესწრო და ამიტომ ვერც გვიფიქსირებს მას, მაგრამ თავის თხზულებაში ამ პროცესის ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი დაგვიტოვა შთამომავლობას. აი, რას წერს იგი „ერთმორწმუნე" ბიზანტიელთა მორიგ ცდაზე, ჩაეკლათ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ფორმირება მაშინ, რაც ასე გვაგონებს „ერთმორწმუნე" რუსეთის დღევანდელ ანტიქართულ აგრესიულ პოლიტიკას:

„ხოლო ესევითარად რა ღელვად აღტეხილად... მსწრაფლ ეწვია რისხვა მეფესა კონსტანტინესა, მსგავსადვე ივლიანეს

უსჯოლოსა, უწყალოებისათვის ბაგრატ მეფისა ჩუენისა, მოხროებისათვის მამულისა ჩვენისა (აქაც და წინაჳჳერდებზეც სუმბატი დაწვრილებით გადმოსცემს ბიზანტიის იმპერატორთა განუწყვეტელ ლაშქრობებს ლაზიკასა და ტაო-კლარჯეთში — ე.ბ.). ამიტომ იყო, რომ — „შეიმოსა სიმხნე და ახოვნება სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამ, და წარვიდა კონსტანტინეპოლად ვედრებად, რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა...".

დედოფალ მარიამის „ძებნად მშვიდობის" მისიამ კი წარმატებით ჩაიარა მაშინ, მაგრამ ბიზანტიამ სანამ თვითონაც არ დაეცა და დაიშალა თურქთა მომთაბარე ტომების შემოტევებისგან, მაინც ქართული სახელმწიფოს „მუდმივ მტრად" დარჩა მთელი 500 წლის მანძილზე...

და ერთი შტრიხიც პირველ ბაგრატიონთა ღვაწლიდან, რასაც ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ დამსახურებად უთვლით მათ: იდეოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების მომზადება გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის. ეს პროცესიც კარგად ჩანს სუმბატის თხზულებიდან, როცა იგი აღწერს ბაგრატიონთა ორი ძირითადი შტოს — „კლარჯეთისა და ტაოს" დაახლოება-გაერთიანებას. სიმბოლურად ეს მოხდა ოთხი ბაგრატის — ბაგრა I, II, III, IV დროს, მაგრამ მისი სულისჩამდგმელი იოანე მარუშის-ძე იყო. ივანე ჯავახიშვილი წერს:

„იოანე მარუშის-ძეს საქართველოს გაერთიანების მტკიცე სურვილი ჰქონდა და ამის განსახორციელებლად საუკეთესო გზაც აირჩია. ტაოს მფლობელს დავით დიდ კურაპალატზე უკეთესად არავის შეეძლო ეს განეხორციელებინა... თუ მის შვილს, ბაგრატს აფხაზეთის ტახტზე დასვამდნენ, მაშინ იგი გახდებოდა მთელი გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფედ".

ისე, რომ ბაგრატიონებს და მათ გარშემო შემოკრებილ პატრიოტ ქართველებს ეყოთ იმის სურვილიც და ძალაც ეაზროვნათ და ემოქმედათ გლობალურად ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს გასაერთიანებლად. შედეგად წარმატებით იქნა დაძლეული ვახტანგ გორგასლის შემდეგ წარმოებული სპარსეთის ცდები დაეპყრო და თავის კოლონიად გადაექცია საქართველო, ამ პოლიტიკასთან დაკავშირებული 200-წლიანი „უმეფობის ხანა",

შემდგომ კი, არაბთა დაპყრობითი შემოსევები და საქართველოს ისლამიზაციის მათი გეგმები...

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ყველაფერი ეს ხორციელდებოდა „ერთმორწმუნე ბიზანტიის" ანტიქართული პოლიტიკის ფონზე, რაც ბუნებრივია იწვევდა პატრიოტული ეროვნული ძალების დასუსტებას. მაგრამ ბაგრატიონების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჭკვიანური პოლიტიკის შედეგად შესძლეს დაებალანსებინათ ეს საგარეო საფრთხეები თავისი და თავისი ქვეყნის სასარგებლოდ. ეს ხდებოდა „ბუფერული" პოლიტიკით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე, რაც საბოლოო ჯამში, თამარ მეფემ დააგვირგვინა „ტრაპიზონის სამეფოს" შექმნით.

არანაკლებ რთული ვითარება შეიქმნა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც ბერძნებმა ყირიმისა და ქერჩის მიდამოებში რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი შექმნეს. ძველი საბერძნეთი და მერე კი, ბიზანტია განვითარებული საზღვაო სახელმწიფოები იყვნენ და ამიტომ არ უჭირდათ ასეთი „ახალშენების" შექმნა დღევანდელი ყირიმი-ქერჩი-აფხაზეთის ტერიტორიებზე. ბაგრატიონები მიხვდნენ, რომ თუ ბიზანტიელებს თავის ნებაზე მიუშვებდნენ, ძირძველ ქართულ „ჯიქეთ-აფხაზეთ-სამურზაყანოს" ტერიტორიებს, ისე როგორც ჭანეთს და ლაზიკას დაკარგავდნენ...

ბაგრატიონების ერთ-ერთი დიდი დამსახურებაც ის არის, რომ ეს ყველაფერი კარგად გაიაზრეს და ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პრიორიტეტად აფხაზეთი აირჩიეს. აქ მათ მხარში ამოუდგათ ქართული ეკლესია და მათ ერთობლივად შეძლეს ამ ექსპანსიის შეჩერება. დაწვრილებით გადმოსცემს ბაგრატიონების და ქრისტიანი მღვდელ-მთავრების ამ ერთიან ძალისხმევას ივ. ჯავახიშვილი. ბ-ნი ივანე განსაკუთრებით აღნიშნავს გიორგი მთაწმინდელის დამსახურებას, როცა მან ბერძნებს დაუმტკიცა, რომ ქართული ეკლესია ავტოკეფალური და სამოციქულო ეკლესიაა. ანდრია პირველწოდებულის და სიმონ კანანელის მოღვაწეობა ნათელი მაგალითია ამისა. ანდრია პირველწოდებული ხომ ქრისტიანობის გასავრცელებლად თვითონ მარიამ ღვთისმშობელმა გამოაგზავნა — ასე აჩუმებდა გიორგი თავის ბერძენ ოპონენტებს...

ერთი ნიშანდობლივი დაკვირვებაც პირველი ბაგრატიონების მოღვაწეობიდან: უკლებლივ ყველა მათგანის რეგალიებს „ქართლის ცხოვრება“ იწყებს ასე — „მეფე აფხაზთა“ და მერე მოსდევს აღმოსავლეთ საქართველოს მხარეთა ჩამოთვლა — „მეფე ქართველთა, რანთა, კაცთა“, მერე კი — XI — XIII საუკუნეებში მათ ემატებათ კასპიისპირა რეგიონებიც — „შირვანშაჰის“, განძის, დარუბანდის, ყარაბაღის სახანოებიც... სრულიად ნათელია, რომ ცნებაში — „მეფე აფხაზთა“, მთელი დასავლეთ საქართველოს ქართველობა იგულისხმებოდა. სხვანაირი ახსნა ამ ფაქტს არა აქვს. მეგრელებს, სვანებს, იმერეთს... თავი რომ გავანებოთ, განა ბაგრატიონთა სამშობლო მხარე — მესხეთი და ტაო-კლარჯეთი გამორჩებოდათ?!... რა იცოდა დავით აღმაშენებელმა დღევანდელი პოლიტიკური ინსუნაციები, თორემ „საქართველოს“ ნაცვლად, „აფხაზეთს“ დაამკვიდრებდა გაერთიანებული სახელმწიფოს სახელდებად, როცა დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა...

ამრიგად, ბაგრატიონებმა ქრისტეს შემდეგ პირველი ათასწლეულის დამლევს შესძლეს მკვიდრი ნიადაგი მოემზადებინათ კავკასიაში ძლიერი და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ფორმირებისათვის. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ითამაშა ბაგრატ III, რომელიც 36 წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას (978–1014). ახლა მის მემკვიდრეებზე იყო მიმდგარი საქმე, რამდენად წარმატებით განახორციელებდნენ ქვეყნის შემდგომი განმტკიცება-განვითარების საქმეს. ბაგრატ IV და გიორგი II ამ საქმისათვის აშკარად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. სამაგიეროდ 1089 წლის ე.წ. „კარის გადატრიალებამ“ ქართული სახელმწიფოს მმართველობის საჭესთან მოიყვანა ახალგაზრდა მეფე, დავით IV, თავისი „შენაკრები გუნდით“, დიდი საერო და საეკლესიო მოღვაწენით, რომლებმაც მაშინდელი საქართველო კავკასიისა და მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ აქციეს. ამ სახელმწიფოს ზოგიერთი ისეთი პრინციპი დაედო საფუძვლად, რომელთაც ვფიქრობ, დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა, თუკი შევძლებთ მათ გათანამედროვეობას და ეპოქის შესატყვისი ფორმების მიცემას. სწორედ ასეთი „გათანამედროვეობა“ ჰქონდა მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როცა წერდა — „ახალი საქართველო ძველიდგან უნდა აღმოვშობოთ“...

„საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი“: ფედერალიზმი — ქართული სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველი.

დღეს აშშ ისტორიასა და პოლიტოლოგიას თუ გადავხედავთ, უკლებლივ ყველა მკვლევარი ამ სახელმწიფოს ძლიერების საფუძველთა საფუძველს ფედერალიზმს მიიჩნევს, ინგლისის 13 კოლონიის გაერთიანებამ რომ დაუდო სათავე ჯერ კიდევ XVIII საუკუნის შუახანებში. პრინციპში, დღევანდელი ევროპის გაერთიანების პროცესიც განა ფედერალიზმის თავისებური ნაირ-სახეობა არაა?!... რეგიონალური გაერთიანებებისაკენ მისწრაფებაც დღევანდელი მსოფლიო განვითარების ტენდენციად იკვეთება თანდათან...

ქართული სახელმწიფოს მშენებლობაც ფედერალიზმის პრინციპზე განვითარდა. კარგად აქვს ეს პროცესი გადმოცემული ივანე ჯავახიშვილს „ქართული სამართლის ისტორიაში“. მის წინასიტყვაობაში იგი წერს:

„დაკვირვებული მკითხველი, რომელიც ამ წიგნს გულდასმით გადასინჯავს, დარწმუნდება, თუ რაოდენი შემოქმედებითი მუშაობა გაუწევია ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში სოციალური ცხოვრების ასპარეზზე და სამართლის სფეროშიაც... იგი თავისი თვალით დაინახავს იმ გაცხოველებულ მუშაობასა და შეუწყვეტელ ბრძოლას, რომელიც სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებასა და სოციალურ ცხოვრებაში წარმატებისა და სამართლიანობის მოსაპოვებლად სწარმოებდა..., რაც ბევრ საგულისხმოსა და საყურადღებო გარემოებას გვიშლის თვალწინ მომავალში“.

ამ პროცესებს კი სათავეს უდებს რუის-ურბნისის 1104 წლის საეკლესიო კრება და მისი „ძეგლისწერა“, რომლის სული და გული იყო გიორგი ათონელი — მთაწმინდელი. ამიტომ წერს ი.ჯავახიშვილიც — „გიორგი მთაწმინდელის მარად მადიდებელი უნდა იყოს საქართველო“ — მაგრამ ტრაგედიაც ის არის, რომ ივანე ჯავახიშვილის 1907 წელს დაწერილ, ჩემი აზრით, მის ყველაზე არსებით და ფუნდამენტალურ ნაშრომს „დაკვირვებული მკითხველი“ არ გამოსჩენია და ამიტომაც იქ გამოთქმული

დასკვნებიც რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" მაშინაც და დღესაც...

სიმართლის და ქვეყნის მოყვარული კაცი ფაქტს ვერსად გაექცევა: XIX–XX საუკუნეების ჩვენი ყველაზე დიდი ერისკაცის მემკვიდრეობა დღეს სახელმწიფოებრივი მშენებლობის მიღმა დგას. ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის" თეორიის და მეორე მხრივ, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის" ისტორიის გამოყენებითი პოლიტოლოგიური კვლევა საგანგებო ყურადღებას და კვლევას მოითხოვს ჩვენგან. ეს არ გავაკეთეთ არც I მსოფლიო ომის შემდეგ ქართული სახელმწიფოს მშენებლობისას და არც ახლა ამ 25 წლის მანძილზე...

1917 წელს ივანე ჯავახიშვილი ჩამოვიდა სამშობლოში და სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად შეუდგა ქართული უნივერსიტეტის გახსნის სამზადისს. 1918 წლის თებერვალში იგი გაიხსნა, 1918 წლის 26 მაისს კი ვითარებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. რას გააკეთებდა ქვეყნის გულშემატკივარი კაცი ქართული სახელმწიფოს განმტკიცებისა და განვითარებისთვის? ვის და რას უნდა დაყრდნობოდა ის? — ცხადია, ივანე ჯავახიშვილს და მისგან დაფუძნებული ქართული უნივერსიტეტის ინტელექტუალურ ძალებს, რომლებმაც მიატოვეს რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტები და მხარში ამოუდგნენ ივანე ჯავახიშვილს ერთი მიზნით — სწორი გზაკვალი მიეცათ ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის.

თქვენც არ მომიკვდეთ, არცკი გახსენებიათ ისინი მესამედასელებს „ქართველი მარქსის" — ნოე ჟორდანიას მეთაურობით. სამაგიეროდ, უმალ გაახსენდათ II ინტერნაციონალის ლიდერები — არიქა, გვასწავლეთ ჭკუა, როგორ ვიცხოვროთ, როგორი სახელმწიფო შევქმნათ, თითქოს სახელმწიფო ჩვენ არასოდეს გვქონოდეს... ევროპაში ზედი-ზედ გააგზავნეს „სოციალ-დემოკრატიის" ქართველი იდეოლოგები კონსტიტუციის მოსამზადებლად, 1920 წელს თვით II ინტერნაციონალის ყველაზე აღიარებული ლიდერი — კაუცკიც კი ესტუმრათ საქართველოში დასამოძღვრად და ჭკუის დასარიგებლად...

არადა, საქმე იყო ძალიან მარტივი, იმდენად მარტივი, რომ წერა-კითხვის უცოდინარ ჩვენებურ გონიერ გლეხკაცს

გააგებინებდა კაცი, რასაც ჯავახიშვილი მათ ეჩიჩინებოდათ მაშინ: ქართულ სახელმწიფოს საძირკვლად და „ბალავრის ქვად" ფართო ადგილობრივი და საშხარეო თვითმართველობა უნდა დაედვას, ხოლო პოლიტიკური მართველობის ფორმად „კონსტიტუციური მონარქიის საპარლამენტო მმართველობა". ამ დროს ინგლისიდან ჩამოვიდა ვარლამ ჩერქეზიშვილიც, — „საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის" ლიდერი, მასთან ერთად, ამ პარტიის სხვა ლიდერებიც — მიხაკო წერეთელი, კიტა აბაშიძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ძმები გოგელიები..., ყველა უჩიჩინებს ჟორდანიას და სხვა მესამედასელებს — სხვათა და სხვათა მიმბაძველობა და გამოცდილება რად გინდათ, ჯერ ჩვენი გამოვიყენოთ — აგერ, ჯავახიშვილის მიერ მეცნიერულად დამუშავებული ნაშრომები — „ქართული სამართლის ისტორია", „საქართველოს ეკონომიური ისტორია"... დავჯდეთ, მოვარგოთ ამ ახალ ისტორიულ პირობებს, ქართულ სახელმწიფოს მხოლოდ ასე შევქმნით... მაგრამ რა, შეაყარეთ კედელს ცერცვი... ამაზეა ნათქვამი ეს ძველი ებრაული წყევლა-შეგონებაც, — არც შენ იცოდე და არც სხვისი გესმოდესო...

მაგრამ მეორე მხრივ, შეიძლება გავუგოთ ჟორდანიას და მის „მესამე დასს" — მათ ხომ, სულ ახლახან გადაიტანეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ილიასთან და მის „საერთო ნიადაგის" თეორიასთან, წიწამურიდანაც სულ რაღაც ათიოდე წელია გასული, მახარაძე — ჟორდანია — გელეიშვილის ღვარძლიან წიგნებსა და წერილებსაც ხომ, ჯერ ისევ სტამბის სუნი ასდით... ილიას „სამეფო გვირგვინზე და ხმალსა და გუთანზე დაფუძნებული ახალი საქართველო", ვის რაში უნდა, როცა II ინტერნაციონალი სულ სხვას გვეუბნება ევროპიდან...

თბილისის უნივერსიტეტში კი, ივანე ჯავახიშვილი კითხულობს სპეცკურსებს სახელმწიფო სამართალზე, ახასიათებს და აანალიზებს მმართველობის სამოხელეო ინსტიტუტებს, „პატრონყმობის" ქართულ სახელმწიფო და სოციალურ წეს-წყობილებას, „მწიგნობართუხუცესობის", „ამირსპასალარობის", „მეჯურჭლეთუხუცესობის", „მანდატურთუხუცესობის" მეტად მოქნილ და ეფექტურ ეროვნულ სისტემას, ამ სისტემაში „საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა" არსზე, და მის განსაკუთრებულ დანიშნულებასა და გადამწყვეტ მნიშვნელობაზე ქვეყნის სტაბილური

განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ერთი სიტყვით, მეცნიერულად ყოველმხრივ ასაბუთებს ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიის პრინციპებს, ილიას მეთოდოლოგიურ მითითებას, რომ „ახალი საქართველო მხოლოდ ძველითგან შეიძლება აღმოიშობოს მკვიდრად“, რომ „ჩვენი ხსნა და სამომავლო განვითარება ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“ და არა „უცხო ბაძში“, ბიუროკრატიულ ცენტრალიზმსა და სოციალურ დემაგოგიაში, — გზას, რასაც მესამე დასი დაადგა.

ძველი მემკვიდრეობიდან ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფედერალურ თვითმართველობას და მის ქართულ გამოვლენას — „საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა“ ინსტიტუტს. ბ-ნი ივანე წერს:

„როდესაც ქართველთა სამეფოები ერთ სახელმწიფოდ იქცნენ და საქართველო გაერთიანდა, ქართული სამართალი სწორედ სამოხელეო წეს-წყობილებაში უნდა ასახულიყო ადგილობრივ განსხვავებულ დაწესებულებათა სახით...

საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა შორის პირველი ადგილი ერისთავთ-ერისთავებსა და ერისთავებს ეჭირათ. თვითეულ მათგანს თავისი „განსაგებელი“ ჰქონდა... ერისთავებს თავის მხრივ, თავისი „ქვეშეთი მოხელე — ხელისუფალი“ ჰყავდა, საკუთარი „მწიგნობართუხუცესი“, „მანდატურთუხუცესი“, „მოლარეთ-უხუცესი“, „ხევის-უფალნი“, „გზირნი“ თავ-თავიანთი „სარგოებით“ და უფლება-მოვალეობებით“...

ერთი სიტყვით, „ქართული სამართლის ისტორიის“ ამ თავში და მთლიანად მთელ ამ 400-გვერდიან ნაშრომში ძველი საქართველოს სახელმწიფო მართვა-გამგეობის კლასიკური ფედერალური სისტემაა გადმოცემული. ამიტომ უწოდებენ „ქართლის ცხოვრების“ ავტორები დავით IV, დემეტრე I, გიორგი III, თამარს არა უბრალოდ „მეფეს“, არამედ „მეფეთ მეფეს“, ხოლო ერთიანი საქართველოს ცალკეული მხარეების მართველებს უკვე — „მეფეს“. ასე გაჩნდა ეს ტერმინიც მაშინ — „შვიდ სამეფოთა მეფენი“. ეს ერთიანად კრავდა და ადუღაბებდა სახელმწიფოს — ასეთია ამ ეპოქის საქართველოზე ივანე ჯავახიშვილის დასკვნა.

ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, რატომ არ გვინდა XX საუკუნის ამ ჩვენი ყველაზე დიდი ერისკაცის, „ქართველი ერის

ისტორიის" თორმეტტომეულის ავტორის გაგონება — დაჯერება და ჩვენს სამომავლო განვითარებაში გამოყენება?! განა, ჩვენთვისაც არ უნდა იყოს „ისტორია ჩვენი დიდი მასწავლებელი"?!. აქ ხომ, ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ყველა მხარის, მათი მთა-ბარის, ლამის ყველა ხეობის ისტორიას გვაძლევს და გვიხასიათებს?!...

თუ რა ჰქვია ყოველივე ამას, ჩვენი ხალხური სიბრძნე გვეუბნება კარგად — „თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასა". მაგრამ რაკი მაინცდამაინც „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს" და ეტყობა, უფრო უცხო თვალით დანახულის მოსმენას მეტ ფასს ვადებთ, აი, აქ მინდა მოგახსენოთ შევარდნაძის დროს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაშინდელი პრეზიდენტის, პროფესიით სახელმწიფო სამართლის დოქტორის რომან ჰერცოგის ერთი მეტად სიმბოლური შეგონება:

ქართველებს არავისგან არაფრის გადმოღება და მიბაძვა არ გჭირდებათ, თქვენ რომ სახელმწიფო და სახელმწიფო სამართალი გქონდათ, ბევრს ამაზე წარმოდგენაც არა ჰქონდა... და კონკრეტულადაც დაგვისახელა ბაგრატიონ მეფეთა სამართლის წიგნები, კერძოდ კი, ხაზგასმით აღნიშნა ვახტანგ IV „სჯულმდებელის" ღვაწლი. თურმე ამ გერმანელ კაცს, რომელიც პრეზიდენტობის შემდეგ სახელმწიფო სამართლის კურსს კითხულობს გერმანიის უნივერსიტეტებში, შემთხვევა მისცემია და სტუდენტობის დროს შეუსწავლია ვახტანგ VI სამართალი... არც ახლა გჯერათ, რომ პანტას თურაშაულის ვაშლი სჯობია?!...

ისე, რომ ახლაც, როცა ჟორდანიას მსგავსად იქ, ევროპაში ვეძებთ მაინცდამაინც, ყველა ჩვენი პრობლემის უებარ წამალს, ჯერ აქ ჩვენს ისტორიაში და მემკვიდრეობაში ვეცადოთ ვუწამლოთ ჩვენს სატკივარს...

ბაგრატიონებს ბიზანტიასთან თითქმის 800-წლიანი ურთიერთობა აკავშირებთ ტაო-კლარჯეთიდან მოყოლებული, სანამ იგი 1453-1462 წლებში საბოლოოდ დალეწდა სულს, როგორც „აღმოსავლეთ რომის იმპერია“ და თავის ყველაზე დიდ სიმბოლიკას — ორთავიან არწივს „მესამე რომს“ — მომავალ რუსეთის იმპერიას გადააბარებდა. ამ ხნის მანძილზე ბიზანტია — საქართველოს ეს ურთიერთობა უამრავ შუქ-ჩრდილებს შეიცავს, უფრო მეტად კი, ავბედით ჩრდილებს...

მათგან ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული არის ის, რასაც „ქართლის ცხოვრება“ მეტად ტევადი და მრავლისმეტყველი ცნებით — „უბედური რუსი“, აღნიშნავს და რაც რაღაც თავისებურ ანომალიად მოჩანს XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ მივყვეთ მოვლენათა მსვლელობის მაშინდელ ლოგიკას...

„ქართლის ცხოვრება“ თამარის საქმროს ძიებას რომ გადმოსცემს, საგანგებოდ უსვავს ხაზს: უცხო ქვეყნების დინასტიათა „მოყვრობისთვის“ ყველა დაეთანხმა „თბილისის მკვიდრი თავადის აბულასანის წინადადებას: „მე ვიცი შვილი რუსთა ხელმწიფის ანდრია დიდისა, რომელსა მონებენ სამასი მთავარნი“. ამ განცხადებამ ყველა მოხიბლა და ამიტომ სასიძოს გასასინჯად და ჩამოსაყვანად უხმეს თბილისელ ებრაელ დიდ-ვაჭარს „სახელით ზანქან ზორაბაბელს“...

ამ უკანასკნელმაც, როგორც ჩანს „ჩრდილოეთის ყივჩაღთა ამ გზის“ კარგად მცოდნემ, მალე თბილისში ჩამოიყვანა თამარის საქმრო, რომელმაც თავისი გარეგნობით საყოველთაო მოწონება დაიმსახურა:

„მოყმე სახე-კეკლუცი, სრული ანაგებითა და საჩინო...“, ამიტომ „... ამისთა მნახველთა პატრიარქმან, დიდებულთა, ვაზირთა და სპათა“ მოახსენეს თამარს საქმროს მოწონების შესახებ. თამარის მამიდაც, დედოფალი რუსუდანიც, რომელთანაც შეიკრიბნენ „მზრახველნი საქმის კეთილად გარიგებისა“, როგორც ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, ფაქტიურად აიძულეს დათანხმებულიყო მათ არჩევანს...

ბ-ნი ივანე თამარის ისტორიკოსებზე და პირველ რიგში კი, ბასილი ეზოს მოძღვარზე დაყრდნობით ასკვნის, რომ გიორგი რუსის და თამარის ქორწილი სამეფო კარის დიდებულებმა თამარის ნების საწინააღმდეგოდ დააჩქარეს:

„რუსთა ჩამოყვანილი უფლისწული საქართველოს მაშინდელი მმართველი წრეებისთვის გაუცვნიათ, „ვითარცა კაცი დიდად გვარიანი, უდიდესი ყოველთა მათ მეფეთა". როგორც ჩანს ყივჩაღებში გადმოხვეწილ გიორგის, მამამისის ვლადიმირის სამთავრო რუსეთის სტეპების შუაგულში ზანქან ზორაბაბელს „ყოველთა უდიდესად" მოსჩვენებია, მისგან შერჩეული სასიძო კი, „კაცი დიდად გვარიანი". კაცმა არ ცის, ჯერ ყივჩაღებთან და მერე კი, ვლადიმირში ჩასულ ზანქანს რა ლაპარაკი თუ მოლაპარაკება — გარიგება ჰქონდა სასიძოს აღმზრდელ ყივჩაღთან „სახელით სავალათად", ან თვითონ ვლადიმირის მთავართან, მაგრამ მოვლენათა შემდგომი განვითარება იმას მოწმობს, რომ ეს შუამავლობა მთლად ანგარების გარეშე არ მომხდარა.

ასე სასწრაფოდ ჩამოყვანილი „გიორგი რუსიც", სანამ იგი „უბედური რუსი" გახდებოდა, არავის გაუკითხია რას წარმოადგენდა თავისი ზნე-ხასიათით და შინაგანი ბუნებით...

ეს ზნე-ხასიათი კი უპირველეს ყოვლისა, საქმის მოსაგვარებლად გაგზავნილ კაცს უნდა გაერკვია, სანამ მას საქართველოში ჩამოიყვანდა. მაგრამ მასაც და აბულასანსაც, ეტყობა რაღაც მიზეზების გამო, ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ და სხვებიც აუყოლიათ საქმის დასაჩქარებლად. ყველა ერწმუნა ზანქან ზორაბაბელისა და აბულასანის „ფიცთა მტკიცებას". ძნელი მისახვედრი არაა, თუ რა ედო საფუძვლად რუსი უფლისწულის მიმართ მათ ქება-დიდებას და რატომ გაუჩნდა მსტოვრად გაგზავნილ თბილისელ ვაჭარს მისდამი ეს უზომო სიმპატიები...

თამარისა და ქვეყნისათვის ამ საბედისწერო გადაწყვეტილების განხილვისას, ივანე ჯავახიშვილს მოჰყავს ბასილი ეზოს — მოძღვარის ეს საგულისხმო დაკვირვებაც:

„ბასილი ეზოს — მოძღვარის სიტყვით, რუსთა უფლისწულის მოყვანის შესახებ გადაწყვეტილება, „ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისი მეცნიერ იყუნეს", ე.ი. კაცის შინაგანი ბუნების მცნობი... „გიორგი რუსი

იხილეს ყოველთა კაცთა", მაგრამ ისტორიკოსის განმარტებით, — განაგრძობს ბ-ნი ივანე ბასილი ეზოს — მოძღვარის თხზულების კომენტარს, მოწონება გარეგნულობის მიხედვით ზერელე მსჯელობის ნაყოფს წარმოადგენდა. თამარის იგივე ისტორიკოსის დამოწმებით, ივანე ჯავახიშვილი ამ არჩევანზე თამარის აზრსაც გადმოსცემს „ქართველი ერის ისტორიის" II ტომში:

„თვითონ თამარიც თურმე ამ არჩევანის წინააღმდეგი ყოფილა... როდესაც მას ქორწილს აჩქარებდნენ, მას უთქვამს: „ვითარ ღირს არს შეუტყუებლად ასე ქმნად? არა ვიცით კაცისა უცხოსა ქცევა და საქმე არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა და არცა ქცევისა"... საქართველოს მმართველი წრეები კი ჩქარობდნენ, რადგან სამეფო ტახტის მემკვიდრეობა აწუხებდათ... ბასილი ეზოს-მოძღვარის სიტყვით, — „ესოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდნენ"...

სულ მალე გამოჩნდა „უბედური რუსის" ის ბუნება, რისიც თამარს, მის და ქვეყნის გულშემატკივართ ასე ეშინოდათ — მან არც მხედრობაში და „ომის ხელოვნებაში ივარგა" და საერთოდაც, მას „სოდომის ბუნება და ქცევა" აღმოაჩნდა. თამარ მეფეს ეს „უკეთურება" თავიდანვე შეუტყვია, მაგრამ მალავდა, მაგრამ „ჭირმა თავი არ დამალა" და რაკი ეს სააუგო ამბავი აშკარა გამხდარა, გიორგი რუსის ბედიც გადაწყდა. თუმცა თამარ მეფეს ეცოდებოდა „უბედური რუსი", მაგრამ იგი მაინც გააძევეს საქართველოდან, ამასთან, აურაცხელითა ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა" გაირსტუმრეს და... „ჩასმული ნავითა ზღვად მიიწია კონსტანტინეპოლსა".

მაგრამ არცთუ ისე „შესაცოდებელი" აღმოჩნდა იგი — ბიზანტიამ შანსი არ გაუშვა, რომ ეს ყველაფერი თავის სასარგებლოდ არ გამოეყენებინა: შეუკრიბა ჯარი დევნილ და „უმართებულოდ დაჩაგრულ გიორგი რუსს", აუყოლიეს დასავლეთ საქართველოს ტრადიციულად პრო-ბიზანტიური ძალები და სერიოზული საფრთხე შეუქმნეს ქვეყანას. ჯავახეთში გადამწყვეტ ბრძოლაში ძლეულ იქნენ განდგომილები. თამარმა ყველას აპატია როგორც ეს მის კეთილ ბუნებას სჩვევოდა, გიორგი რუსსაც კიდევ ერთხელ აპატია და ისიც „მასსა მისსა სვე-უბედურსა გზასა გაუდგა კონსტანტინეპოლსა"...

კვლავ მეორედაც სცადა „უბედურმა რუსმა" თავისი საწადელის მიღწევას — საქართველოს სამეფო ტახტის დაუფლებას. ივ.

ჯავახიშვილი ასე გადმოსცემს მის ამ მეორე ლაშქრობას:

„...გიორგი რუსმა კვლავ მოიწადინა ბედის ჩარხი თავისკენ შემოატრიალებინა. ამისათვის კონსტანტინეპოლიდან ათაბაგთან მივიდა და იქ ათაბაგისგან საცხოვრებლად მიიღო ადგილი. აქეთვან იგი ლაშქრითურთ შემოესია „ქვეყანასა კანბეჩოვანსა და შიგნით მოარბია ყოველი“... მაგრამ ხორნაბუჯის პატრონი საღარ მახატლის-ძე საჩქაროდ უკან დაედევნა და თავგანწირული კვეთებით ნადავლი წაართვა... ამის შემდგომ თვით რუსიც გაიქცა და „გარდაიხვეწა ქვეყნითგან“ — ამთავრებს „ქართლის ცხოვრება“ და ივ. ჯავახიშვილი მის ისტორიას...

მერე ეტყობა კონსტანტინეპოლსაც მობეზრდა მისი ამაო მფარველობა საქართველოს სამეფოს ტახტისათვის ბრძოლაში და როგორც ბ-ნი ივანე წერს, „გიორგი რუსი თავის უბედურს გზას გადაჰყვა“. ისე, რომ ვლადიმირიდან თბილისში ჩამოსულმა, აქედან კონსტანტინეპოლს გაძევებულმა და კვლავ ორგზის საქართველოში დაბრუნებულმა „უბედურმა რუსმა“ ალბათ, ბოლოს თავისი შესაფერი ფინალი ან თურქულ საათაბაგოში, ანდა, ბიზანტიის სულთმობრძავ იმპერიაში ჰპოვა.

მთელ ამ ისტორიაში ჩვენ გვაინტერესებს უკვე ამ დროს ფორმირებული „ათაბაგობის“ ინსტიტუტის როლი საქართველოს ბედ-იღბლის გადაწყვეტაში: „ათაბაგობამ“ და ათაბაგებმა გარეშე ძალებთან ერთად გადამწყვეტი როლი ითამაშეს ერთიანი, ძლიერი ქართული სახელმწიფოს თანდათანობით დასუსტებასა და შემდგომ კი, მის მოსპობა-განადგურებაში. ამიტომაც შიგნით არის ხოლმე, საძებარი ნებისმიერი ტრაგედიის მიზეზები:

ფაქტიურად XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში XI საუკუნის ქართული სახელისუფლო ინსტიტუტები მთლიანად მოიშალა და მათ ნაცვლად, „ათაბაგობის“ მსგავსი უცხო სახელისუფლო სისტემა წარმოიშვა და განვითარდა. დავაკვირდეთ, რას სთხოვს ივანე მხარგრძელი თამარ მეფეს ძმის, ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ: ივანე ჯავახიშვილს მოჰყავს მისი ეს სიტყვები „ქართლის ცხოვრებიდან“ და ჩვენც გავიმეორებთ მათ, რამდენადაც ისინი ზუსტად ასახავენ დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი ქართული ხელისუფლების კრახს:

„ათაბაგობა წინათ არა ყოფილა საქართველოს მეფეთა წინაშე... „სულტანთა წესი არს ათაბაგობა, რომელი მეფის მამად და გამზრდელად არს“... თამარმა თავის ერთგულ ყმას თხოვნა აუსრულა და მისცა ამირსპასალარობა და ათაბაგობა“ — ასკვნის ივანე ჯავახიშვილი.

ამრიგად, „ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის სახელოს“ დიდი იდეა — სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში საეკლესიო-სასულიერო და საერო ხელისუფლების, გონებისა და სიბრძნის ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, სულიერთან ერის ფიზიკური და მატერიალური ძალების გაერთიანება და „ერთნებაობითა და თანადგომით“ ქვეყნის მართვის გიორგი ათონელისეული პრინციპი თანდათანობით გაფერმკრთალდა. „სულტანის წესმა“—ათაბაგობამ თავის თავში გააერთიანა და მონოპოლიზირებული გახადა მთელი ქართული სახელმწიფო ხელისუფლება ცენტრიდან ადგილებამდე...

ლაშა გიორგი და „რინდთა პარტია“ — პირველი ქართველი გლობალისტები...

დადგა XIII საუკუნე, როგორც ბ-ნი ივანე წერს, „აღმოსავლეთით ხალხთა დიდი გადმოსახლებების ახალი „უბედური ხანა“. თამარ მეფემ თავის სიცოცხლეშივე თავისი ერთადერთი 12 წლის ვაჟიშვილი თანამოსაყდრედ დასვა, ოცი წლის ასაკში მას დამოუკიდებლად მოუწია ქვეყნის მართვა. საქართველოს ისტორიაში დაიწყო ლაშა-გიორგის ხანა...

აი, როგორ გადმოსცემს ივანე ჯავახიშვილი ქართული სახელმწიფოს სტრატეგიულ ამოცანებს თამარის შემდგომ ეპოქაში:

„იმ ხანაში საქართველოს შინაგანი ერთიანობისა და პოლიტიკური ზრდა-განმტკიცება სჭირდებოდა... ბრძნული, წინდახედული პოლიტიკის, სრული მყუდროების დამყარებისა და კეთილმოსურნე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული საქმიანობის საშუალებით. ასეთი დიდი მოვალეობის განხორციელება მხოლოდ თამარისებრი შორსმჭვრეტელი პოლიტიკის გამგრძელებელს შეეძლო, რომელსაც ამასთანავე, დავით აღმაშენებელის მსგავსად, მიზანშეწონილი, გეგმიანი სახელმწი-

ფოებრივი საქმიანობის ნიჭი და მისი აღსრულების... ნებისყოფაც აღმოაჩნდებოდა".

ერთი სიტყვით, XIII საუკუნის საქართველოს და ქართული სახელმწიფოს წინაშე, წინა საუკუნის „დავითის ძალისხმევის და თამარის სათნოების ხაზის" გაგრძელება — გაძლიერება — გამთლიანების დიდი საერთო — ეროვნული ამოცანა დადგა, ამოცანა, რომლის განხორციელება ქვეყანას მაშინდელი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს პოზიციებს კიდევ უფრო განუმტკიცებდა კავკასიასა და მთელ ახლო აღმოსავლეთში.

მაგრამ გიორგი IV ამის არავითარი უნარი და ნიშან-თვისებანი არ აღმოაჩნდა, იგი საოცრად ემსგავსა 200 წლის წინანდელ სეხნიას — გიორგი II, ბაგრატიონთა საგვარეულოს ამ ყველაზე ბურუსით მოცულ პიროვნებას. აკი, წერს ივანე ჯავახიშვილიც:

„სამწუხაროდ, ...ლაშა-გიორგი, ვითარცა დედისერთა ვაჟიშვილს სჩვევია, განებივრებული და თავისნათქვამა ჭაბუკი გამოდგა. მას ზემოაღნიშნული ფართო და დიდი ამოცანებისთვის სათანადო ძალა არ შესწევდა... იმ უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც საქართველოს შემდგომი წარმატებისა და ძლიერების განმტკიცებისათვის საჭირო იყო, ლაშა-გიორგი გამოსადეგი ვერ აღმოჩნდა".

თვითონ ხომ, მოუმზადებელი აღმოჩნდა, მაგრამ კიდევ უფრო ტრაგიკული ის იყო, რომ როგორც კი გამეფდა, თავის გარშემო ისეთი „გუნდი" შემოიკრიბა, რომელმაც სულ მალე ქვეყნის განვითარების ჩარხი უკუღმა დაატრიალა. „ქართლის ცხოვრებამ" ისინი „რინდთა პარტიის" სახელწოდებით შემოუნახა ჩვენს ისტორიას. „რინდები — გარინდებულნი" დღევანდელ პირობებში ალბათ, ყველაზე ახლოს „ლოთ-ბაზარა", ანდა, უფრო უარეს — ნარკომანიით დაავადებულ ხალხს ნიშნავს. საქართველოს ეს მომავალი მართველი და გამგებელი მათთან ერთად, გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერივით პირდაპირ და დაუფარავად რომ ვთქვათ, აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა. თანამეინახეებთან ერთ-ერთი დროსტარების დროს ატეხილ ჩხუბში, თვალიც დაუზიანდა. უზნეობა, ეკლესიასთან დაპირისპირება, ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების უარყოფა, ათეისტური და სუფიების ფილოსოფია და „ბიზანტიური გადაცდომები" ლაშა-გიორგის და მისი მიმდევარი

რინდების ცხოვრების წესი გახდა. არ დაგიდევდნენ არაფერს, რასაც წინაპართა წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ზნეობა, ქცევა-ქმედებანი ჰქვია. ველისციხეში ქმრიანი ქალი მოეწონა, ქმარს წაართვა და სასახლეში „დედოფლად" დასვა. ეკლესიამ და დიდებულებმა ვერაფრით დაარწმუნეს ამ უმსგავსოებაზე ხელი აეღო და როცა ვერაფერს გახდნენ, გრიგოლ ხანძთელივით, „დედაკაცი სიძვისაი" თვითონ გამოიყვანეს სასახლიდან და ქმარს დაუბრუნეს...

ერთი სიტყვით, ლაშა-გიორგიმ და მისმა „რინდებმა" სულ რაღაც ათიოდე წელიწადში მოახერხეს, რომ საუკუნეებში ნაშენი ქართული სახელმწიფოსგან კვალიც კი აღარ დარჩენილიყო, დავით აღმაშენებლის მართვა-გამგეობის სახელისუფლო ინსტიტუტებიდან სახელებიც კი აღარ შემორჩა. კლასიკური მაგალითი ამისა მწიგნობართუხუცესობის ნაცვლად ათაბაგობის გაბატონების ფაქტიც კმარა...

და სწორედ ათაბაგობიდან იწყება ერთიანი ქართული სახელმწიფოს რღვევა. როგორც კი ნახეს, რომ საქართველოს პატრონი აღარ ჰყავდა, პირველი განძის ათაბაგი „განდგა მორჩილებიდან", მერე „სხვანი ათაბაგნი" მიჰყვნენ თან...

— გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, და ასეთ ყოფაში მყოფ ქვეყანას კასპიისპირეთიდან მონღოლთა პირველი მზვერავი რაზმები ესტუმრნენ ჩინგიზ ხანისგან გამოგზავნილნი ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით. სწორედ ამ დროს საქართველოში რომის პაპის ჰონორიუსის წერილი და მოწოდება მოვიდა — პალესტინისა და იერუსალიმის გასანთავისუფლებლად ჯვაროსანთა ახალ ლაშქრობაში მონაწილეობას სთხოვდა „უძლეველ ქართულ ჯარს". ეს ქართულმა ჯარმა ღირსეულად დაიმსახურა მთელ XII საუკუნის განმავლობაში მოპოვებული გამარჯვებებით... მაგრამ სულ მალე ლაშა-გიორგის ბედოვლათობით ამ „უძლეველი ჯარიდან" კვალიც კი აღარ დარჩა და საქართველოსაც თვითონ გაუხდა გასანთავისუფლებლად საქმე მას შემდეგ დღემდე არაერთი საუკუნის მანძილზე, „ძნელბედობით" რომ დააფიქსირა „ქართლის ცხოვრებამ"...

ქაბულიდან კასპიისპირეთისკენ წამოსულ მონღოლთა 30 ათასიან ჯარს დავალებად ამ მხარის დაპყრობა არ ჰქონია. მათ ნახეს, რომ მათი ცხენების ჯოგებისთვის კასპიისპირა ველებსა და კავკასიის მთებში შესანიშნავი საძოვრები იყო და ამასთან, ჩინგიზ ხანის მოქიშპე ხვარაზმშაჰ მუჰამედსა და მის შვილს — ჯალალედინს კვალში ჩაუდგნენ. ამ დევნაში მოუწიათ ჯებე-სუბუდაის საქართველოს საზღვრებში შემოჭრა, რასაც ლაშა-გიორგიმ გაუცნობიერებლად უპასუხა იმით, რომ მათი განადგურება განიზრახა იქვე საზღვართან. მონღოლებმა თავიანთი საყვარელი „შეტყუების“ ხერხით ხეობაში ქართველთა ჯარი ალყაში მოაქციეს და „ერთიანად მოსრნეს“ ვინც ამ ალყაში მოხვდა, ლაშა-გიორგი კი, „დაწყლულდა“ და მალე სრულიად ახალგაზრდულ ასაკში გადაჰყვა კიდეც ამას ისე, რომ გარნისის ტრაგედიას ის უკვე ვეღარ მოესწრო...

ლაშა-გიორგი გარნისს ვერ მოესწრო, მაგრამ მანამდე ყველაფერი გააკეთა, რათა გარნისი ჩვენს თავზე წისქვილის ქვასავით დატრიალებულიყო. საერთოდ, მანაც და მთელმა ჩვენმა მაშინდელმა სახელისუფლო ელიტამ ვერ შეძლო სწორედ შეეფასებინა ის ახალი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, რაც XIII საუკუნის 20-იან წლებში წარმოიშვა საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებთან: ჩინგიზ ხანის მიერ გაერთიანებული მონღოლ-თათართა ტომები დედა-წულიანად დაიძრნენ დასავლეთისკენ, როგორც მარკო პოლო წერს, „მოსიარულე სოფლებით“ კალიასავით მოედვნენ ახალ ქვეყნებს და ახალ მიწებს. ქართველმა პოლიტიკოსებმა ისიც კი ვერ გაიაზრეს მაშინ, რომ ხვარაზმშაჰთან კი არ უნდა ებრძოლათ, პირიქით — უნდა შეკავშირებოდნენ მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველთვის ხომ, „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“... ამ სამხედრო-სტრატეგიულმა შეცდომებმა ასაზრდოვეს გარნისიც და მასზე მიყოლებული ქვეყნის სხვა „ძნელბედობებიც“... ასეთია იმპულსური პოლიტიკის შედეგები მუდამ: პოლიტიკას შორს გახედვა უყვარს...

კიდევ კარგი, რომ ჩინგიზ ხანი მთლიანად არ ენდო ჯებე-სუბადაის და ევროპისაკენ ძირითადი დარტყმის მიმართულებად კავკასიის ჩრდილოეთით, რუსეთის სტეპებისკენ აიღო. ამით მათი

მთავარი დარტყმა ჩრდილოეთისკენ წარიმართა — აქედან აპირებდა შუა აზიიდან წინა საუკუნეებში გადმოხვეწილ ჰუნებთან და თუ შესაძლებელი გახდებოდა, ატლანტიკის სანაპიროებზეც გასვლას. ამიტომაც იყო, რომ მონღოლთა „ალაჩუხები" და ცხენების რემები რუსების სტეპებისკენ დაიძრნენ XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან...

მაგრამ გარნისი უკვე მომხდარი ფაქტი იყო და ქართული პოლიტიკის უგერგილობამ მონღოლთაგან დევნილი ჯალალედინი მთელი მეზობელი მაჰმადიანური სამყაროს „ქართველთა ბატონობისაგან" განთავისუფლების ბელადად აქცია. თავის წერილებში ჩვენს მეზობელ მაჰმადიანურ სახანოებს სწორედ ამ იდეით აერთიანებდა — „ქრისტიანთა მონობისაგან ხსნა". ნათლად გამოკვეთავს ივ. ჯავახიშვილი ჯალალედინის ამ რელიგიურ ფანატიზმს და დემაგოგიას, ამდენი უბედურება რომ მოუტანა ჩვენს ქვეყანას, ისევე როგორც თემურ ლენგის რვაგზის გამანადგურებელ ლაშქრობას...

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის" ამ III ტომში ღალატობს ისტორიული თხრობის თავის ტრადიციას და ლიტერატურულ-ესსეურ ხასიათს აძლევს ამ ეპოქის მოვლენათა გადმოცემას. აქ ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრების" თითქმის უმრავლესი ფაქტები და მოვლენები ამ ფორმით არის გადმოცემული, რაც პირადად ჩემთვის უფრო მისაღები ფორმაა და ამიტომაცაა, რომ მეც უახლესი „ქართლის ცხოვრების" მოვლენათა გადმოცემას ამ ფორმით ვამჯობინებ. ამ მხრივაც ბ-ნი ივანე მიმაჩნია ამ სტილით ისტორიული თხრობის პიონერად ჩვენში. ვინც მის ამ 500-გვერდიან ტომს გულდასმით წაიკითხავს, ის დამეთანხმება. რაც შეეხება ჩვენს თემას, მას საერთო სათაურად მე ასეთი სახელწოდება შევურჩიე, რაც ვფიქრობ, კარგად გამოხატავს ბაგრატიონთა ბედს გარნისის შემდეგ:

რაც ლაშა-გიორგიმ დააკლო ქვეყანას, რუსუდანმა გადაუთავა. კარგი ხალხური თქმა და სიბრძნეა — კარგს მაინცდამაინც ბევრი მიმბაძველი არ ჰყავს, ცუდს და უზნეობას კი, მიმბაძველი არასოდეს აკლია... უზნეობა ასეთი არ უნდაო და მონღოლებიც კი გააკვირვეს ამ მხრივ — ერთმანეთს ასწრებდნენ ქართველები დაბეზღებასა და ღალატს...

გაყოფაც ასეთი არ უნდაო — მონღოლებმა რომ გაყვეს ქვეყანა დავით ულუს და დავით ნარინს შორის ლიხს იქით და ლიხს აქეთ... მთების, ქედების, ხეობების მეტი რა გვაქვსო და გაყვეს და გაყვეს ზედმიყოლობით ყველაფერი, გახდნენ ყველა „ათაბაგები“, „ერისთავები“, „თავადები“, „აზნაურები“ სულო და გულო, არავინ დარჩა რეგალიების გარეშე ამერ-იმერით ერი, თუ ბერი. სწორედ რომ ილიას „ბედნიერი ერი“ გაგახსენდება კაცს, ყველაფერს ამას რომ კითხულობ „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!...
ქედდრეკილი, მადლიერი...
პირს ლაგამი ზომიერი,
თვალაბმული, თავაკრული...
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი...“

ამიტომ ათქმევინა თავის ლელთ ღუნიასაც — „წარხდა ქართველთა სახელი და ქართველთა წეს-წყობაი“. წახდა და მერე როგორ წახდა, რაღაც 100 — 150 წლის მანძილზე ისე იცვალა შინაგანად, ვეღარ იცნობდი — ნუთუ ეს დავითის და თამარის დიდგორის, შამქორის, ბასიანის ქართველობაა?!...

ქართული სამართალიც მონღოლურით შეიცვალა, ათასი მაგალითი მოჰყავს ივანე ჯავახიშვილს ამისა... სიცილით მოკვდნენ მონღოლები, როცა დავით რუსუდანის-ძის მომხრეები ლაშა-გიორგის „უკანონო შვილისთვის“ მემკვიდრეობის ჩამორთმევას ლამობდნენ „ქართული სამართლით“?!... ჩამოართვეს კი არა, „უფროს მეფედაც“ — „ულუ დავითადაც“ აღიარეს, მერე, რის ძველი ადმინისტრაციული დაყოფა ქვეყნის — თვითონ დაგვყვეს ჩვენც და ჩვენი ქვეყანაც „დუმანიონებად“, რომ ადვილად ემართათ ქვეყანა,

ჯარიც ადვილად მოეგროვებინათ ახალ-ახალი ლაშქრობებისთვის სამხრეთით ირან-ერაყ-ეგვიპტისა, თუ ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ევროპისაკენ...

ამ ეპოქაში სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მონღოლთა სარდლებს მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდათ, ალექსანდრე მაკედონელი და კეისარი ასისთავადაც კი არ გამოადგებოდათ მათ. 1240 წელს, როგორც კი რუსეთი დაიპყრეს, მაშინვე მიხვდნენ მის სტრატეგიულ მნიშვნელობას ევროპის დასაპყრობად, ზურგის გასამაგრებლად კი, „სახანოების" მთელი კორიანტელი დააყენეს ურალსა და ვოლგისპირეთში. აქეთ-მოსკოვი, ვლადიმირი, ნოვგოროდის მხარეში კი, ნამდვილი მონათმფლობელური სისტემა შექმნეს „ბასკაკთა რაზმების" განუყოფელი ბატონობით. აკი, წერს თვითონ რუსი მემატიანე ამის მართლაც რომ დაუჯერებელ ფაქტებს, მაგალითად, ვლადიმირში ერთმა რუსმა, რომელმაც ბასკაკს ეტყობა რაღაც აწყენინა და მის ცემაში რომ ხელი დაეღალა, ესეც ამ საწყალ რუსს დააბრალა და უბრძანა — თავი უნდა მოგჭრაო, თავი კუნძზე დაადებინა და თვითონ ხმლის მოსატანად წავიდა — „ბასკაკთა სახლში" დარჩენოდა თურმე ქალაქის მეორე მხარეს,... მოაჭენა თავისი ცხენი და რუსიც ისევ იქ დახვდა თავის მოსაჭრელად გამზადებული...

ამ სისასტიკემ მონღოლებს მთელი მსოფლიო დააპყრობინათ და მანვე დასცა მათი ეს ბატონობაც ჯერ შინა ბრძოლებით და მერე კი დაპყრობილი ხალხების წინააღმდეგობით. მარკო პოლო ხომ სასწაულებს ყვება ძალაუფლებისთვის როგორ ჭრიდნენ თავებს თავიანთივე ძმებსა და შვილებს, თუ შვილიშვილებს... ასე, ამრიგად, მონღოლთა იმპერია მსოფლიო ისტორიამ მალევე მოინელა, სულ მალე ამ უზარმაზარ ევრაზიის სივრცეში მათი ბატონობის კვალიც კი აღარ დარჩა, თუმცაღა, სამემკვიდრეოდ რუსეთი კი დაგვიტოვა ყველას...

ისე, რომ „ევრაზიური ინტეგრაციის" დღევანდელ იდეოლოგებს და ლიდერებს რუსეთში არ უნდა დაავიწყდეთ გინესის წიგნში შესატანი მონღოლთა „ოქროს ურდოს" ბედი. არც ის, რა დაემართათ მათ „ბასკაკებს". თუმცა კი, ახლა უკვე დღევანდელ ევროპელ ლიდერთა გასაგონად, ესეც უნდა ვთქვათ: „სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ტერორიზმის" ის სისტემა

დღეს საღ-სალამათია რუსეთის იმპერიაში ძველი საბჭოთა „კაგებეს", თუ დღევანდელი „ფეესბეს" სახით, ათასნაირ „საშინაო დავალებებს" რომ უმზადებს პუტინს (თვითონვე რომ აღიარა ძალაუნებურად — „ევროპას და ევროკავშირს არცკი დაესიზმრებათ, იმდენი „Домашные загутовка" მაქვსო...).

არაფერი ამქვეყნად არ იკარგება და მონღოლური ტრადიციებიც მკვიდრად ზის რუსეთში — დიდი გათვლები და ანალიზები არ სჭირდებათ, უცბად იღებენ ნებისმიერ უჭკუო თუ ჭვიანურ გადაწყვეტილებებს. რას ვიზამთ, „ალოგიკური აზროვნებაც" ხომ ამას ჰქვია თანამედროვე ფსიქოლოგიური ენით. „ალოგიკური აზროვნების" ნიმუშად მოჰყავთ ხოლმე გერმანიასთან ომის წინ სტალინის ვიზიტი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში: კედლებზე რომ ყველგან პეტრე დიდის დროინდელი აკადემიის დამფუძნებლების გერმანელი და ებრაელი მეცნიერების სურათები და გვარები ნახა, გაოცებით იკითხა — ნუთუ რუსი არავინ გყავდათ მაშინ? — როგორ არაო, უპასუხეს, ლომონოსოვიო..., ჰოდა, ჩამოხსენით ყველა და ლომონოსოვი დაკიდეთ ყველგან!" ასეც მოიქცნენ — იქვე ჩამოხსნეს მილერ-კრუზენშტეინ-ბერინგების სურათები და მეორე დღესვე ლომონოსოვის სურათები ჩამოკიდეს ყველგან...

კაცის და ხალხის ფსიქიკა არ იცვლება და მონღოლური სისასტიკე და ვერაგობა — ცბიერობა „ოქროს ურდოს" მუდმივი თანამგზავრი გახდა XIII საუკუნიდან დღემდე. მაგრამ ამასთან, მთელ ამ უზარმაზარ ევრაზიურ სივრცეზე მისი დამკვიდრება დიდხანს შეუძლებელი გახდა. ამიტომაა, რომ მონღოლთა ბატონობას მაშინვე შეეპარა ბზარი. თუმცა ესეც სათქმელია — მანამდე ივანე III ბიზანტიურ „ორთავიან არწივს" კარგად მოერგო „ოქროს ურდოს მონღოლური ტრადიციები...

მონღოლური იმპერიის ეს „აქილევსის ქუსლი" კარგად იგრძნო გიორგი ბრწყინვალემ და მათ მიმართ თავისი პოლიტიკა ე.წ. „ლოდინის ტაქტიკაზე" დააფუძნა და სწორადაც მოიქცა — მონღოლებთან პირდაპირი და უკომპრომისო ბრძოლის ეს „ლოდინის ტაქტიკა" იყო ყველაზე პრაგმატული ალტერნატივა. ესეც „ალოგიკური აზროვნებაა" და ცხოვრებამაც სწორედ ეს აჩვენა და

დაამტკიცა. კარგი იქნება, თუ გიორგი ბრწყინვალის ამ მაგალითსაც გავითვალისწინებთ დღეს...

ყველა ბაგრატიონს არ ეყო საამისო პოლიტიკური ნიჭი და ალღო, მაგრამ სამაგიეროდ, მათ ვერ დავუკარგავთ დიდ პატრიოტულ სულისკვეთებას და თავდადება — თავგანწირვას. მაგალითები ბევრია დემეტრე თავდადებულიდან მოყოლებული და ლუარსაბ წამებულით დამთავრებული. სტატიაში — „ლუარსაბ წამებული", ილიამ გახსნა და გაანალიზა „ბაგრატიონ წამებულ და თავდადებულ მეფეთა" მართლაც რომ საოცარი ფენომენი, რასაც ძნელად თუ შევხვდებით მსოფლიოს სხვა სამეფო დინასტიებში. ილიას მიაჩნდა, რომ ყველაფერს ამას დიდი ზნეობრივი მაგალითის ძალა აქვს ჩვენთვის, ასე დიდი სამომავლო სიმბოლიკით რომ გამოხატა პოემაში — „მეფე დიმიტრი თავდადებული":

„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ!
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით.
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით!"

დიახ, ილიასთვის და ჩვენთვისაც, ვისაც თავი ილიას მემკვიდრეებად და მისი საქმის გამგრძელებლად მიგვაჩნია, საქართველოს მომავლის „გზა და ხიდი" დავით აღმაშენებლის, დემეტრე თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალის, ალექსანდრე დიდის, ქეთევან წამებულის, ვახტანგ სჯულმდებელის, ლუარსაბ წამებულის, პატარა კახის „ზნეობრივ აღმატებულებაზე" გადის. ილიასთვის ადამიანის სულიერება, მისი „სულის ძალა" უმაღლესი ღირებულებაა და მიაჩნდა — საქართველოს მომავალსაც მხოლოდ ამ ძალით „აღმოვშობავთ"...

ილია რეალისტი პოლიტიკოსია და კარგად იცის, რომ ჩვენი ქვეყნის და ბაგრატიონების საქმეც მაშინ წახდა, როცა ეს ძალა დაიკარგა. უკანასკნელი ბაგრატიონი, რომელმაც ეს ძალა თავისი ცხოვრების და მოღვაწეობის უმთავრეს არსად და აზრად აქცია, პატარა კახია. თუმცა მისი მრავალრიცხოვანი შვილებიდან და შვილიშვილებიდანაც საბედნიეროდ, ბევრს გაჰყვა ეს დიდი სულიერი ძალა. აქ განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო ალექსანდრე, თეკლე და ოქროპირ ბაგრატიონები, რომლებმაც XIX საუკუნის საქართველოს ახალ ისტორიულ პირობებში შესძლეს კვლავ

გაეცოცხლებინათ ძველი ბაგრატიონების საბრძოლო შემართება და სული, ქვეყნის ერთგულება და თავდადება, მისი წარსულისადმი პატივისცემა და მომავლისათვის საჭირო მაძიებელი გონება.

ეს ოპტიმიზმის დიდი წყარო გახდა ილიასთვის და მისი „პირველი დასისთვის". იგივე უნდა გახდეს ჩვენთვისაც დღეს, განსხვავებით „მესამე დასისა" და მათი ლიდერის — ნოე ჟორდანიასგან, რომელიც საქართველოს ისტორიაში სხვას ვერაფერს ხედავდა, გარდა „გმობისა და უარყოფისა". აქაც დაუპირისპირდა იგი ილიას და მის „პირველ დასს" — ქართველ სამოციანელებს. მათ საპირისპიროდ ქართველ ხალხს აშინებდა და ჩააგონებდა — თუ ილიას მსგავსად, თქვენც ძველი საქართველოს დაბრუნება გინდათ, მაშინ „ბატონყმობისა და ტყვეთა სყიდვის" დაბრუნებაც უნდა გინდოდეთო... აი, როგორი მესამედასური „ანალიზითა და სიბრძნით" განიხილავს „ქართველი მარქსი" ათასეული წლების ჩვენს ისტორიას და ეროვნულ მემკვიდრეობას...

„ბაგრატიონები — ყველაზე დემოკრატიული დინასტია მსოფლიოში"

ივ. ჯავახიშვილის ეს დაკვირვება და დასკვნა იმითაცაა ნიშანდობლივი და საყურადღებო, რომ იგი ითქვა არა ბაგრატიონების ძლიერებისა და აღზევების ეპოქაზე, არამედ ქართული სახელმწიფოს დაკნინებისას, როცა ჩვენს ქვეყანასაც და ბაგრატიონებსაც „ძნელბედობის ხანა" დაუდგათ. ამ მძიმე ვითარებაშიც ბაგრატიონები არ გამდგარან ხალხისაგან. ესეც ბ-ნი ივანეს ნიშანდობლივი დაკვირვებაა — „საქართველოს გარეშე მტერთან ერთად, აუძლურებდა შინაური ბრძოლა მეფესა და დიდგვაროვან აზნაურთა შორის". ამ ბრძოლაში ბაგრატიონების დასაყრდენი ძალა სწორედ ხალხი იყო. ამით აიხსნება ის ერთი შეხედვით, პარადოქსული ფაქტი, რომ რუსეთისა და თვით ევროპისაგან განსხვავებითაც კი, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს გლეხთა რაიმე მასობრივი გამოსვლები, „ბუნტები" თუ აჯანყებები. ბაგრატიონები ჭირსა თუ ლხინში ხალხს არასოდეს მოწყვეტილან. სწორედ ეს იყო დავით აღმაშენებელის თუ თამარ

მეფის, დემეტრე თავდადებულის თუ გიორგი ბრწყინვალის, ლუარსაბ წამებულის თუ პატარა კახის საყოველთაო — სახალხო სიყვარულის წყარო...

ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ა.მიულერის ერთი საინტერესო დაკვირვებაც: „...ქართველთა პოლიტიკურ ძლიერებას წინ ეღობებოდა და აფერხებდა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება... რასაკვირველია, მართალია ა.მიულერი, როდესაც ამბობს, რომ დასავლეთთან შედარებით აღმოსავლეთი იმით იყო უბედური, რომ ბარბაროსი ველური ტომების გადმოსახლება თითქმის არ შეწყვეტილა აქ: არაბებს თურქები მოჰყვნენ, ამათ მონღოლები ორგზის და ოსმალები... ასეთი ქარტეხილები დასავლეთს და ევროპელ ერებს თავს არ დასტყდომიათ... აყვავებული ქალაქ-სოფლები მრავალგზის განადგურებულან საქართველოში“.

ამ შემთხვევაშიც „განადგურებული ქალაქ-სოფლების“ მიმართ ბაგრატიონები ხალხთან ერთად ახორციელებდნენ იმას, რასაც „ქართლის ცხოვრება“ მეტად ტევადი და ღრმააზროვანი ტერმინით აფიქსირებს — „ახლად შენება საქართველოის“: ქვეყნის ყოველი ახალი „მოოხრების“ შემდეგ, „ახლად შენების“ ეს პროცესი ასულიერებდა ხალხს და ქვეყანას. ყველაფერი ეს აყალიბებდა იმ დემოკრატიულ სულს, რაც ასე გამოკვეთილად მოჩანს ბაგრატიონ მეფეთა დიდი უმრავლესობის მოღვაწეობაში. ამიტომაც, დემოკრატიულობასთან ერთად, ბაგრატიონებს, როგორც მათ საერო, ისე საეკლესიო ხელისუფლებას, დიდი სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკური და ზნეობრივი ნიშანთვისებაც ახასიათებდათ მუდამ. აქ უპრიანია გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის მოღვაწეობა ამ მიმართებით, საოცარი ემოციური ძალით ხოტბას რომ ასხავს ილია — „ნუთუ საოცარი რამ არ არის, რომ ყველაფერი ეს ხდება იმ ეპოქაში, ... როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არ ინდობდა“...

მართლაცდა, სად იყო ის დიდი ევროპული რენესანსული და განმანათლებლური იდეები, როცა დავით აღმაშენებელმა ჰუმანიზმისა და ტოლერანტიზმის დიდი იდეები დაამკვიდრა, თამარ მეფემ კი აკრძალა ადამიანის არა მარტო სიკვდილით დასჯა, არამედ მასზე ყოველგვარი დამამცირებელი ფიზიკური სადამსჯელო მოქმედების განხორციელება. და ამას წერენ და

აფიქსირებენ არა მარტო „ქართლის ცხოვრების“ ავტორები, ანდა, რუსთაველის, შავთელის, მოსე ხონელისა და სარგის თმოგველის მხატვრული ქმნილებანი, არამედ იმ ეპოქის არაერთი უცხოელი ავტორებიც, ხოტბას რომ ასხავენ ბაგრატიონთა დემოკრატიულ და კაცთმოყვარულ ბუნებას...

ბაგრატიონები საქართველოს ფარგლებს გარეთ...

ბედმა ისე ინება, რომ ბაგრატიონებს, სანამ სამეფო დინასტია გახდებოდა, საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოუწიათ ცხოვრება და მოღვაწეობა. ესეც ბედის ირონიაა, რომ უმთავრესად ეს არის ბოლო ორი „რომის იმპერია“ — ჯერ ბიზანტიის და მერე რუსეთის. „პირველ რომის იმპერიას“ ბაგრატიონები ვერ მოესწრნენ — მასთან „ფარნავაზიან-გორგასლიანებს“ მოუწიათ არცთუ სასიამოვნო ურთიერთობა, თუმცა სხვა „ბარბაროსი ხალხებისაგან“ განსხვავებით, რომაელები ქართველებს „მეგობრებს“ გვიწოდებდნენ და ფარსმან ქველსაც „მარადიულ ქალაქში“ ძეგლიც დაუდგეს... მაგრამ იმპერია იმპერიაა — ის ყველგან და ყოველთვის მორჩილებას თხოულობს შენგან... ცხადია, მაშინდელ იმპერიულ-გლობალისტურ რეციდივებს ვერც ქართველები გადავურჩებოდით ალექსანდრე მაკედონელის ევრაზიული გლობალისტური ამბიციები იქნებოდა ეს, თუ პომპეუსის და კეისარის აფრიკულ–ახლო აღმოსავლური... ისე, რომ ეს აკვიატებული გლობალიზმი და გლობალისტური იდეებიც „არ ახალია, ძველია“...

მაგრამ პირველი და მეორე „რომის“ იმპერიები არაფერია იმასთან შედარებით, რაც ბაგრატიონებს „მესამე რომის იმპერიაში“ გადახდათ: ჯერ კიდევ XVII საუკუნეში მოსკოვში დაარსებული ქართული კოლონია ნამდვილი სატრანზიტო პუნქტი გახდა — აქ ასობით ბაგრატიონი და სხვა დიდგვაროვანი ქართველები აფარებდნენ თავს ირან-ოსმალეთიდან დევნილნი 300 წლის მანძილზე, სანამ პავლე I ყველა ბაგრატიონის „რუსეთში განთავსება“ არ ბრძანა. მაგრამ ყველაზე დიდი თავგადასავალი აქ არჩილ მეფეს და მის შვილებს — ალექსანდრე და დარეჯან ბაგრატიონებს გადახდათ. „დარეჯანის სასახლე“ ყველაზე საყვარელი სასტუმრო

ადგილი იყო პეტრე დიდისთვის და როცა პირველი ცოლი გარდაეცვალა, დარეჯანის შერთვა ურჩიეს მას, პასუხი კი ასეთი იყო მისი — არ შეიძლება, ბიძაშვილად მერგებაო... რაც შეეხება ალექსანდრე არჩილის ძეს, რუსეთის არტილერიის პირველ გენერალს, ორმეტრიან ვაჟკაცს, გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგავდა თავის ბიძაშვილს პეტრე I და ძმური სიყვარულით ურთიერთობდნენ იქ, რუსეთშიც და „ევროპაში მოგზაურობის" დროსაც, ის შვეციასთან „ჩრდილოეთის ომმა" შეიწირა ბოლოს...

ბაგრატიონებიდან რუსეთში სხვაც ბევრი გახდა ცნობილი მოღვაწე, ვახტანგ VI, რომლის სიკვდილმა ეს მწარე სიტყვები ამოათქმევინა გურამიშვილს — „ვაი, რა ბოძი წაგვექცა, სახლკარი თავს დაგვექცაო", მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი იოანე ბაგრატიონი, „კალმასობის" ავტორად მიჩნეული, ანტონ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი, სახელგანთქმული სარდალი პეტრე ბაგრატიონი... მაგრამ როგორც ზევითაც ითქვა, ბაგრატიონების ნამდვილი ბუმი რუსეთის იმპერიაში პავლე I და ალექსანდრე I ეპოქაში დაიწყო, როცა ორივე მამა-შვილმა ცალკ-ცალკე გამოსცა საქართველოს რუსეთთან შეერთების „მანიფესტი ქართველი ხალხის შეჭირვებათა განსაქარვებლად"... უკეთეს დემაგოგიას ვერ მოიფიქრებს კაცი...

„მუხაბირი" ბაგრატიონები

ბაგრატიონების ისტორიას რომ გადახედავს კაცი, იქ მართლაც ბევრი შუქ-ჩრდილებია, გმირობის გარდა, სიმდაბლის, ღალატის, „ავ-გიორგობის" „ძმის და მამისმკვლელობის" ბევრი მაგალითია... ქრისტიანობისთვის წამებულთან ერთად, მისგან განდგომილი გამაჰმადიანებული ბაგრატიონებიც უამრავია შაჰის თუ სულთანის კარზე...

მაგრამ ის, რომ არაბს, ან, ბერძენს, თურქს, მონღოლს თუ სპარსელს ისინი დედაბუდიანად სამშობლოდან გაესახლებინოთ, ამას ვერსად ვერ ვნახავთ. რუსმა კი ამერ-იმერის ყველა ბაგრატიონს ერთიანად ფეხი ამოუკვეთა სამშობლოდან. ისე კაცმა რომ თქვას, სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია ამ ახალი დაპყრობლის

ქცევა — თვითონაც ხომ, კარგად იცოდა თავისი ვერაგობა, როცა გეორგევსკის ტრაქტატის ის მუხლი ფეხქვეშ გათელა, სადაც საქვეყნოდ აღიარებდა „საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო უფლებას აწ და მარადის“. ჰოდა, თუ არცერთ ბაგრატიონს არ დატოვებდა საქართველოში, ვიღა მოსთხოვდა ამ უფლებას?!...

თუმცა იყო ერთი კაცი, რომელიც სანამ პირში სული ედგა ამ უფლების აღსრულებას ითხოვდა რუსეთისაგან. ეს ალექსანდრე ბატონიშვილი იყო — იმ გმირული სულის გამოძახილი, რომელიც საბედნიეროდ, ბაგრატიონებში ერეკლე მეფის შემდეგ კიდევ დარჩა. „მუხაჯირობა“ კავკასიაში ბაგრატიონებით იწყება და მასთან ერთად, „კავკასიური ომების“ ისტორიაც. რუსეთიც ხვდებოდა ბაგრატიონების ამ გამანთავისუფლებელ მისიას არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიაში და არაფერს ზოგავდა მათ გასანეიტრალებლად — გასახლებით დაწყებული და უხვი ჩინ-მედლებით და „პენსიებით“ დამთავრებული...

ბაგრატიონების უმრავლესობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არ დაემონნენ დამპყრობლის ამ ვერაგულ გეგმას. ამის სიგნალი გახდა დედოფალ მარიამის მიერ მოძალადე გენერალ ლაზარევის განგმირვა, რომლის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ჯერ კიდევ გიორგი XII სიცოცხლეშივე მეფის ოჯახის ბედის გამგებელი გახდა. მაგრამ ხანჯლის გარდა, ბაგრატიონებში მომწიფდა სახელმწიფოებრივი რეფორმირების დიდი პროგრამაც, რომლის სულისჩამდგმელები გახდნენ ერეკლე მეფის შვილიშვილი ოქროპირ ბატონიშვილი და მასთან ერთად, XIX საუკუნის დიდი ქართველი განმანათლებელი და ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი.

ეს იყო XI–XII საუკუნეების „ნაადრევი ქართული რენესანსის“ გაგრძელება. ივ.ჯავახიშვილი ხაზს უსვავს, რომ ევროპაზე ადრე საქართველოში ჩაისახა „ხელისუფლების დანაწილების“ დემოკრატიული პროცესი. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს ხომ, სასამართლო ხელისუფლება — „სააჯო კარი“, დამოუკიდებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, ხოლო ე.წ. „ისნის კარავით“ თავისებური ქართული პარლამენტის ჩასახვა მოხდა. „ქართული სამართლის ისტორიაში“ ბ-ნი ივანე წერს:

„ამგვარად, ამიერიდან საქართველოს მეფეთ-მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის „თანადგომით და ერთნებობით" იქნა შეზღუდული. საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილებაში მომხდარი ეს ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილების საგულისხმო და წინამორბედ ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენდა, რომელიც XIII საუკუნის დამდეგს ინგლისში მოხდა და „მაგნა ხარტა ლიბერტატუმის" შექმნითა და ინგლისის მეფის ხელისუფლების შეზღუდვით დამთავრდა".

დიახ, ფაქტია, რომ ინგლისის სახელგანთქმული XIII საუკუნის „უფლებათა ბოლოს" წინამორბედი ანალოგიური მოვლენა საქართველოში უფრო ადრე, XII საუკუნეში განხორციელდა, ეგაა, რომ მას გაგრძელება და შემდგომი განვითარება აღარ მოჰყოლია აღმოსავლეთიდან მომთაბარე ბარბაროსი ტომების შემოსევების გამო. რას ვიზამთ, ასეთი იყო და ასეთად რჩება დღესაც ევრაზიული სივრცის გზაჯვარედინზე მყოფი ჩვენი ქვეყნის ისტორიული და ამასთან, სტრატეგიული ბედიც ...

ახალი საუკუნეების ისტორიულმა მსვლელობამ მართალია გვიან, მაგრამ მაინც ეს დიდი იდეა კვლავ გააცოცხლა. ჯერ კიდევ გიორგი XII სიცოცხლეში, სანამ გენერალი ლაზარევი ბრძანებას მიიღებდა პეტერბურგიდან დაემხო საბოლოოდ ბაგრატიონთა ხელისუფლება, იტალიელმა მისიონერმა პატრი ნიკოლამ საიდუმლოდ მიმართა რამოდენიმე ავტორიტეტიან ქართველ თავადს: მეფის ავადმყოფობის გამო, შეექმნათ თავისებური „რესპუბლიკური მთავრობა". მისი ანალიზი და არგუმენტი ძალიან მარტივი, მაგრამ უდავო რამ იყო, ისე, როგორც მისი წინასწარმეტყველებაც: ხომ ხედავთ მეფის სისუსტეს და სრულ უუნარობას — გენერალი ლაზარევი დღეს თუ ხვალ ფორმალურადაც აიღებს ხელში ძალაუფლებას და ბაგრატიონების ნაცვლად, იმპერატორის ხელისუფლებას გამოაცხადებს... მაგრამ ლაზარევი აქაც ფხიზლად იყო: „მოთავეთა" დაპატიმრებით ერთ ღამეში ჩაშალა პატრი ნიკოლას ეს გეგმა. გრენადერთა ერთი ასეულიც კი საკმარისი აღმოჩნდა ამისთვის, ასეთი ასეულებით კი, უკვე სავსე იყო ქვეყანა...

იმდენმა დამპყრობელმა გააუკუღმართა ჩვენი ეროვნული ცხოვრების წესი და რიგი, კიდევ მადლობელი უნდა დავრჩეთ უფლის წინაშე, რომ მაინც გადავრჩით, ილიასი არ იყოს, „საქოლავი არავის ავაგებინეთ, სახელი ქართველისა შევინარჩუნეთ". ბაგრატიონებიც, ბუნებრივია, არანაკლებ დღეში ჩავარდნენ, განსაკუთრებით, ბოლო ორ საუკუნეში: ჯერ ხომ აქეთ-იქით გაფანტეს პეტერბურგიდან ურალამდე სხვადასხვა გუბერნიებში, მერე 1833 წლის „უზენაესი ბრძანებით" მათ თავიანთი გვარის ტარებაც აუკრძალეს და ჯერ „გრუზინსკები" გახდნენ და მერე ღმერთმა იცოდეს ვინ რად — ვისაც როგორ შეეძლო ისე შველოდა თავს... საბჭოთა რეჟიმის დროს რუსეთში გაბნეულ ბაგრატიონებში „ამხანაგ ივანოვს", თუ „ამხანაგ კუზნეცოვსაც" შეხვდებოდა კაცი...

მაგრამ დამთავრდა ღვთის მადლით, ეს „საბჭოთა ხანაც", ბოლშევიზმმაც თქვენი ჭირი მოგჭამათ და ახლა მაინც ხომ, შეიძლება ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ?... ეს სახელი პირველად ილიამ თქვა და იწინასწარმეტყველა 1862 წელს რუსეთიდან დაბრუნებულმა თავის პირველსავე საპროგრამი წერილში — „საქართველოს მოამბეზედ". იგი საქართველოს განახლების ერთი დიდი სტრატეგიული ხედვაა, ძველი საქართველოდან ახალი საქართველოს „აღმოშობის" დიდი იდეით ნათელხილული. თვითონ ეს სიტყვა — „აღმოშობა", თავისთავად მიუთითებს ილიას პოლიტიკური ფილოსოფიის მთავარ იდეას და პრინციპს — ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში ბუნებრივ-ისტორიული განვითარების პირველადობას, განმსაზღვრელ როლს და სუბსტანტურ ხასიათს:

„მეტი არ იქნება მოკლედ განვიმეოროთ ის, რაც ამ სტატიაში ჩვენ გვინდოდა მკითხველისათვის გვეჩვენებინა, — რომ ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკ-რიკაზედ, ... რომ იგი ახლდება, რომ მეცნიერება, ეგ ულევი სალარო კაცთა ცხოვრების განახლებისა და წინმსვლელობისა, არის ის ძალა, რომელიც წინ სწევს და აახლებს ცხოვრებასა...".

განახლებული „ქართლის ცხოვრება" და ქართული ცხოვრება გახდა მას შემდეგ ილიას ფიქრის მუდმივი თანამგზავრი დავითის „ძალისხმევისა" და თამარის „სათნოების ხაზის" გამოცოცხლება ახალ ისტორიულ პირობებში...

— ეროვნული მოძრაობის პირველი მედროშე და ევროპეიზმის ფუძემდებელი საქართველოში

მანამდე ამ ფიქრს მრავალი ჩვენი დიდი მოღვაწე შეეჭიდა. მათგან უპირველესი სოლომონ დოდაშვილია. XIX–XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ–პოლიტიკური აზროვნების განვითარება მის გარეშე წარმოუდგენელია. მაგრამ პარადოქსიც ის არის, რომ თვით უკანასკნელ წლებამდე მის სახელს ტაბუ ჰქონდა დადებული ჯერ ცარიზმის დროს, როგორც რუსეთის წინააღმდეგ „შეთქმულების" მთავარი იდეოლოგი და ორგანიზატორი, მერე კი, საბჭოეთის ჟამსაც, როგორც ბაგრატიონების ხელისუფლების აღდგენის და საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრების იდეოლოგი...

მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ გაბედა გაზეთ „დროების" ბენეფისზე სიტყვით გამოსვლისას შეეხსენებინა სერგი მესხისთვის და ბევრი სხვა იქ დამსწრისათვის, რომ როცა ჩვენ ვდღესასწაულობთ დღეს ქართული პრესის და საერთოდ, ქართული მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მის სათავეებთან დოდაშვილი დგას. მართლაც, დოდაშვილის „ლოგიკა" ეს იყო ზემოდნახსენები საქართველოს ბუნებრივ–ისტორიული განვითარების ფილოსოფიური დასაბუთება, „საერთო ნიადაგის" თეორიის პირველი „ბალავრის ქვა" და ევროპისაკენ საქართველოს სვლის — „ევროპეიზმის" პირველი დიდი მქადაგებელი, „რათა ევროპამან სცნას ივერია წერილთა სარწმუნოთა"...

ესეც თავისებური სიმბოლიკაა: დოდაშვილი იყო პირველი ქართველი „თერგდალეული", როცა 18 წლის ყმაწვილი კაცი იოანე ხელაშვილის ხელშეწყობით პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ეს უნივერსიტეტი მაშინ ტოლს არ უდებდა ევროპულ უნივერსიტეტებს და დოდაშვილმაც აქ ბრწყინვალე განათლება მიიღო, შედეგი კი ის იყო,რომ 1827 წელს გამოსცა „ფილოსოფიის შესავალი — „ლოგიკა". მას აღფრთოვანებული რეცენზიები მოჰყვა რუსულ და გერმანულ პრესაში. მაგრამ ამ დროს დოდაშვილის გონებას უკვე სხვა ისეთი იდეა და ფიქრი დაეუფლა, რომელმაც მთლიანად შთანთქა და დაიმონა მისი პიროვნება...

მართალია,დოდაშვილს არ დასცალდა ფილოსოფიის სრული კურსის დაწერა და გამოქვეყნება, მაგრამ მან XIX — XX საუკუნეების ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ისეთ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც დარწმუნებული ვარ, ამ ჩვენს ახალ, XXI საუკუნეში თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. ეს პირველ რიგში, „საერთო ნიადაგის" თეორიაა,რომელსაც მერე დასრულებული სახე ილიამ მისცა. სამწუხაროდ, ამ თეორიას ჯერ არ დასდგომია პრაქტიკაში განხორციელების თავისი დრო-ჟამი, მაგრამ ეს მას მომავალში მაინც, დაუდგება.

იქ, ვიატკაში, დოდაშვილის ნაკვალევზე ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის სანაპიროებთან ყოფნისას, მისი ღვაწლის ეს პოეტური აღქმაც დაიბადა და მინდა თქვენც შემოგთავაზოთ:

შენ გაშინებდნენ,
— „გაგაციმბირებენ"!
შენ პასუხობდი:
არა უშავს–რა,
მზე და მთვარე
იქაც ამოვა,
მთავარია საქართველოს
მოვუპოვოთ თავისუფლება!
შენ მართლაც,
მალე გაგაციმბირეს,
მზე და მთვარე
მართლაც, იქაც ამოდიოდა,
მართალია, არა
ისეთი სხივმფენი,
როგორც აქ, ჩვენთან,
ალაზნის ველზე,
მაგრამ მაინც ამოდიოდა
მზეცა და მთვარეც
ყინულის ველზეც...
და შენ ქიზიყური
სიჯიუტით იმეორებდი:
არა უშავს–რა,
მთავარია საქართველოს
მოვუპოვოთ თავისუფლება!

სოლომონ დოდაშვილმა, მაშინდელმა ბაგრატიონებმა და სხვა შეთქმულებმა „ერთგვარი რესპუბლიკის“ იდეით და შესაბამისი პოლიტიკური პროგრამით ახალ ქართულ სახელმწიფოებრიობას მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს. ჩვენი ვალია კონსტიტუციური მონარქიის მსოფლიოში დამკვიდრებული თანამედროვე სამართლებრივი და პოლიტიკური სახე მივცეთ მას. სოლომონ დოდაშვილის, ოქროპირ ბატონიშვილის და ასეულობით სხვა „შეთქმულთა“ იდეალიც მაშინ აღსრულდება...

მცხეთა, 1829 წელი: ოქროპირ ბატონიშვილი და სოლომონ დოდაშვილი — „ერთგვარი რესპუბლიკის“ იდეა

მაშ, ასე — სიონთან შეკრებილ ხალხს ზარბაზნების ლულების ქვეშ გამოუცხადეს „ერთმორწმუნე რუსეთის იმპერატორის უზენაესი ბრძანება“ და მის ერთგულებაზე დაფიცებაც მოსთხოვეს... ამ „სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ტერორისტულ აქტს“ ბევრი იქ მყოფი მაინც არ შეუშინდა და გულუბრყვილოდ იკითხეს — აბა, გეორგევსკის ტრაქტატი სადღაა?!... მათ გენერალი ლაზარევი, როგორც საჭირო იყო, ისე გაუსწორდა. დაიწყო ახალი „ძნელბედობის ხანა“ საქართველოს ისტორიაში, ქვეყანამ XIX საუკუნეში კოლონიური უღლით შემოაბიჯა...

ბაგრატიონთა და ქართველ პატრიოტთა ყველა ცდა 1802, 1804, 1808, 1812–13, 1819–20 წლებში მახვილით ხელში განედევნათ „ქვეყნად ძალით მოსულნი მტარვალნი“, უშედეგოდ დამთავრდა. ბოლო აჯანყების ორგანიზატორმა სოლომონ II ტრაპიზონში მოასწრო გაქცევა, 1812–13 წლების აჯანყების მოთავემ კი — ალექსანდრე ბატონიშვილმა თეირანს შეაფარა თავი. ამავე აჯანყების დროს მეფედ გამოცხადებული გრიგოლ იოანეს ძე კი, ვერ გადაურჩა რუსთა ტყვეობას და გადასახლებას...

რუსეთში გასახლებული ბაგრატიონებიდან ინტელექტუალური და ამასთან, პატრიოტიზმის თვალსაზრისით გამოირჩეოდა ერეკლე მეფის შვილიშვილი ოქროპირ ბატონიშვილი. ის იყო თავისებური შემაერთებელი ხიდი პეტერბურგში, მოსკოვსა და ნიჟნი ნოვგოროდში მცხოვრებ ბაგრატიონებს შორის. ამ საქმეში

თავისებური შუამავლისა და მოკავშირის როლს ასრულებდა ერეკლეს კარის მღვდელი იოანე ხელაშვილი, რომელიც გასახლებულ ბატონიშვილებს, როგორც „სულიერი მამა" თან გაჰყვა გასახლებიდანვე...

ვითარება მკვეთრად შეიცვალა 1825 წელს ნიკოლოზ I ტახტზე ასვლისთანავე, როცა დეკაბრისტების გამოსვლამ არსებითად შეცვალა რუსეთის იმპერიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. ამ პერიოდში მოუწია პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა სოლომონ დოდაშვილსაც (1805–1836). პატრიოტიზმით დამუხტული ახალგაზრდა დოდაშვილი ბაგრატიონებთან ერთად საქართველოს განთავისუფლების დიდი იდეით შეიარაღებული დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა შეიარაღებული აჯანყებისთვის მზადებას. შეთქმულთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, მაგრამ მას განსაკუთრებული სტიმული შესძინა 1829 წელს საქართველოში საიდუმლოდ ჩამოსულმა ოქროპირ ბატონიშვილმა. მას, ისე როგორც ყველა ბაგრატიონს, ეკრძალებოდა საქართველოში ჩამოსვლა და ცხოვრება, მაგრამ ინგლისის ელჩთან ერთად, რომელთანაც მას განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, კისლოვოდსკში ვითომცდა, სამკურნალოდ ჩამოსულმა, მოახერხა რამოდენიმე დღით მცხეთაში ჩამოსვლა და აქ შეთქმულებთან შეხვედრა აჯანყებისთვის სამზადისის გასაძლიერებლად...

სწორედ მცხეთის „საიდუმლო სერობაზე" მოხდა საქართველოს მომავალი პოლიტიკური წყობის საკითხის განხილვაც, რაც „ინგლისის მსგავსი ერთგვარი რესპუბლიკის" მოთხოვნით იქნა დაფიქსირებული. აქ აშკარად ჩანს ინგლისის ელჩთან ურთიერთობის გავლენაც, მაგრამ კვლავ გვინდა ავღნიშნოთ ის, რაც ზევით ითქვა XII საუკუნეში ინგლისის „უფლებათა ბილის" ქართულ ანალოგიაზე. მცხეთის შეხვედრაზე, სანამ შეთქმულნი გააცილებდნენ ოქროპირ ბატონიშვილს უკან კისლოვოდსკში, მას კიდევ ერთხელ ხაზგასმით უთქვამს:

— კიდევ მინდა განგიცხადოთ: მე აქ იმიტომ არ ჩამოვედი, რომ ჩვენი გამარჯვების შემდეგ, პაპაჩემის დროინდელი სახელმწიფო წეს-წყობილება აღვადგინოთ. არა, ჩვენ სრულიად სხვა სახის სახელმწიფო უნდა შევქმნათ ჩვენს ხალხთან ერთად. ამ სახელმწიფომ უნდა დაგვაახლოვოს და გაგვაერთიანოს ევროპის

მოწინავე ქვეყნებთან სულიერადაც და ხორციელადაც"... ცხადზე ცხადია, რომ აქ მხოლოდ კონსტიტუციურ მონარქიაზეა ლაპარაკი. უბრალოდ, მაშინ ცნება — „კონსტიტუციური მონარქია" არ არსებობდა...

მცხეთაში ოქროპირ ბატონიშვილის ჩამოსვლას ის პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ აჯანყების წარმატებისთვის შეიქმნა ხელმძღვანელი ბირთვი ბატონიშვილი თეკლეს უფროსი ვაჟიშვილის ალექსანდრე ორბელიანის მეთაურობით, რომელსაც ასევე დაევალა კავშირ-ურთიერთობის დამყარება სპარსეთში მყოფ ბიძასთან — ალექსანდრე ბატონიშვილთან იარაღითა და ცოცხალი ძალით დახმარების მიზნით.

ცალკე უნდა ითქვას ორბელიანებზე — ამ უძველეს არისტოკრატიულ გვარზე, განსაკუთრებით კი, მათ რძალზე — თეკლე ბაგრატიონზე, რომელიც ერეკლეს გამორჩეულად უყვარდა თავის მრავალრიცხოვან შვილებს შორის. თეკლემ ხომ, თავისი ხელით შეკერა აჯანყებულებისთვის საქართველოს სამეფო დროშა და შვილებთან ერთად, მოუთმენლად ელოდებოდა აჯანყების დაწყებას. მისი რჩევა და იდეა ისიც იყო, რომ ინგლისისა და საფრანგეთის დახმარების გარეშე, რუსეთის ბატონობას თავს ვერ დავაღწევდით და ეტყობა რუსეთიდან თავისი ძმისშვილის საიდუმლოდ მცხეთაში ჩამოსვლაც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა...

ორიოდე სიტყვა ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ამ ჩემი აზრით, ყოვლად გაუმართლებელ ცნება-თარიღზეც — „1832 წლის შეთქმულება". არასწორი, მცდარი და გაუმართლებელია პირველ რიგში იმიტომ, რომ საკითხავია, რა თარიღს ავღნიშნავთ და ვზეიმობთ — შეთქმულების გაცემას და ღალატს, ერთ ღამეში რომ ჩამოუარეს რუსებმა და ყველა მთავარ მოთავეს იასე ფალავანდიშვილის დაბეზღებით ციხეში უკრეს თავი?! ესეც არ იყოს, შეთქმულება ხომ, 1832 წელზე გაცილებით ადრე, დოდაშვილის პეტერბურგიდან ჩამოთვლისთანავე ჩაისახა და მინიმუმ, 5 წლის ისტორიას ითვლის?! ვფიქრობ, რომ მის თარიღად ავიღოთ 1829-32 წლები, როცა იგი აქტიურ ფაზაში შევიდა მცხეთაში ოქროპირ ბატონიშვილის ჩამოსვლის შემდეგ. აჯანყების კონკრეტული გეგმა და პროგრამაც მაშინ შემუშავდა, ისევე როგორც იარაღის შემოტანაც ირანიდან ალექსანდრე

ბატონიშვილის მიერ, ხოლო ევროპიდან დახმარებისთვის მაშინ გადაწყდა თბილისში საფრანგეთის კონსულის გრაფი ლეტელიეს გამოყენება. აჯანყების სარდლად დანიშნულმა ალექსანდრე ორბელიანმაც მაშინ შეარჩია რუსეთის სამხედრო ნაწილებზე სამი ძირითადი დარტყმა — ორთაჭალაში, არსენალზე და კახეთიდან თბილისში შემოსასვლელთან, სადაც სოლომონ დოდაშვილს უნდა ჩამოეყვანა აჯანყებულთა მთავარი დამრტყმელი სამხედრო ძალა კახეთიდან...

ერთი სიმბოლური შტრიხიც ამ რომანტიული ამბებიდან: ტრაპიზონში მცხოვრები დავით და თამარ ბაგრატიონები მომდევნო, 1830 წელს იერუსალიმში გაემგზავრნენ შეთქმულების წარმატებისთვის მოსალოცად. მათ როგორც ეს ჩანს საგამომძიებლო მასალებიდან, „თურქეთის სულთანთან და ეგვიპტის ფაშასთან სათხოვარი წერილებიც" ჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროებიდან დახმარების გასაწევად, როცა აჯანყების დაწყების კონკრეტული დრო გადაწყდებოდა. თურქეთს ამ წლებში (1828-29 წწ.), ომი ჰქონდა წაგებული რუსეთთან და ბუნებრივია რევანშისთვის ამ დახმარებაზე უარს არ იტყოდა. ამ იმედით მოეწყო დავით და თამარ ბაგრატიონების ეს ვოიაჟიც პალესტინაში...

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო: არც ინგლისის ელჩის, არც საფრანგეთის კონსულის გრაფი ლეტელიეს და ირანისა და თურქეთის ძალისხმევა საკმაო არ გამოდგა საქართველოს გასანთავისუფლებლად. მაგრამ შეთქმულთა ამ რომანტიულ გაბრძოლებას ერთი პოზიტივი მაინც აქვს:

ჯერ ერთი, ეს იყო და არის ქართველთა შემდგომი თაობებისთვის ქართული საბრძოლო სულის და მამულიშვილობის დიდი მაგალითი, იმის დემონსტრირება, რომ ეს სული არასოდეს შეურიგდება კოლონიური უღლის ტარებას. აქ გაიჟღერა სოლომონ დოდაშვილის „სიტყვა-მოწოდების" შეთქმულთა მთავარმა პოლიტიკურმა იდეამ, 30 წლის შემდეგ ილიამ რომ გაიმეორა ლელთღუნიასეული რედაქციით — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!". იქ, მაშინ დოდაშვილის ტექსტში საოცარი დაბოლოება მოჰყვა ამ უკვდავ ქართულ ფორმულას: თუ ეს ვერ შევძელით,—„მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ!!" — ვფიქრობ, ეს ყველა თაობისათვის სანიშანსვეტო სიტყვები უნდა გახდეს...

და მეორეც, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი ამ ისტორიული მოვლენიდან: უახლეს „ქართლის ცხოვრებაში" მაშინ პირველად დაფიქსირდა მომავალი ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციური მონარქიის პრინციპზე მოწყობის საპროგრამო იდეა 1829 წლის მცხეთის „სიდუმლო სერობაზე".

ეს ორი პოზიტივი 1829–32 წლების შეთქმულებისა, მიუხედავად მისი მარცხისა, მას საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ხდის, მოვლენად, რომელზეც ასეც შეიძლება ვთქვათ, — „გამარჯვების ტოლფასი მარცხი!"...

„ქართველთ არ სძინავთ გონებით"

„ქართველთ არ სძინავთ გონებით" — ეს სოლომონ დოდაშვილის სიტყვებია „ლოგიკის" წინასიტყვაობაში წამძღვარებული. ისიც და მისი თანამედროვე ქართველი ინტელექტუალებიც დღენიადაგ ეძებდნენ „ხსნის გზას", იმას, რაც მერე ილიამ პოეტურად ასე გამოხატა:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება...
დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი, — მიხარიან, რომ ეგრეთ ქრება
ჩემი ცხოვრება შენს ფიქრში და შენს სიყვარულში".

მაგრამ ამ ლექსს თავისი პესიმისტური გაგრძელებაც აქვს, რაც ასე ორგანულად ეხმიანება იმ განწყობას, რომელიც ილიას ეპოქაში შეთქმულების გაცემისა და დამარცხების შემდეგ შეიქმნა და რასაც „სულ ძილი, ძილის" შეძახილით გამოხატავდა. ამ ლექსის გაგრძელების არსიც და აზრიც ხომ იგივეა:

„მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის,

რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო"...

ოდითგან ასე ენაცვლება ერთმანეთს ოპტიმიზმი და პესიმიზმი ქართულ ცხოვრებაში... სტატიათა ციკლში — „წერილები ქართულ ლიტერატურაზე", ილიამ ღრმა პოლიტიკური ანალიზი მოგვცა 30–40-იანი წლების „შავბნელი წლებისა". საქართველო XIX საუკუნის II ნახევარს მიადგა სულიერ-ხორციელად ისე გაძარცული და განიარაღებული, რომ აუცილებელი იყო „ახალი გზის" ძიება, თუმცა ის, რაც წინა თაობათა გონების ნაყოფი იყო, მასაც გაფრთხილება და სამომავლოდ გამოყენება უნდოდა... ამ გააზრებით ქართული სახელმწიფოს „ერთგვარი რესპუბლიკის" — კონსტიტუციური მონარქიის იდეა გამორჩეულად დგას XIX—XX საუკუნეების ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში.

მთავარია, რომ ამ იდეას სწორი გზა-კვალი მიეცეს, არ გადავაქციოთ იგი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სპეკულაციის იარაღად, უსარგებლო და უსაშველოდ გაწელილ სადისკუსიო თემად და ორჭოფულ კითხვად — სჭირდება თუ არა იგი საქართველოს სამომავლო განვითარებას. დიახაც, რომ სჭირდება, თუ ჩვენ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების აღდგენა და გაგრძელება გვინდა.

ესაა მთავარი არგუმენტი კონსტიტუციური მონარქიის სასარგებლოდ. ესეც ქართულ ცხოვრებასა და „ქართლის ცხოვრებაში" — ჩვენს ძველ თუ ახალ ისტორიაშია საძიებელი: აქ ერთ სერიოზულ არგუმენტსაც კი ვერ ვნახავთ მის საწინააღმდეგოდ. ბოლოსდაბოლოს ხომ, უცილობელი ფაქტია: ბაგრატიონთა დინასტია ჩვენ ხალხს კი არ უარყვია და დაუმხია, არამედ მოძალადე მტერმა გააკეთა ეს თავისი ცბიერი და ვერაგული პოლიტიკით! მაშასადამე, რა გამოდის — ჩვენც დღეს გარკვეულწილად ვამართლებთ და მხარს ვუჭერთ ამ პოლიტიკას და მის შედეგებს?!. ამ უსამართლობას უნდა მოეღოს ბოლო...

კონსტიტუციური მონარქიის ქართულ სახელმწიფოზე სერიოზულ ფიქრს სხვა თუ არაფერი, მარტო ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ეს მოვალეობა გვავალდებულებს. ამიტომაც ფიქრობდნენ ჩვენი წინაპრები დღენიადაგ მასზე ამ 200 წლის მანძილზე. სამართალმა პური აქაც უნდა ჭამოს. „ქმნა მართლისა სამართლისა"... დიდი რუსთაველური შეგონებაც მაშინ განხორციელდება ჩვენს უახლეს ისტორიაში...

ბოლშევიკური დამღით — „ხალხის წურბელები და მჩაგვრელი მეფეები“, მხოლოდ დახვრეტას იმსახურებდნენ და რომანოვების დინასტიასაც ხომ, ასე მოექცნენ. რაც შეეხება ბაგრატიონებს XX საუკუნის 20–იანი წლებიდან მოყოლებული, ამ მხრივ, „ხალხის მტრის და კლასობრივი ბრძოლის“ რეპრესიებს შედარებით იოლად გადაურჩნენ, მისი სუსხი კი, რა თქმა უნდა, მათაც საგრძნობლად იგრძნეს...

ვიატკაში ყოფნის დროს იქაურმა ჟურნალისტმა სერგეი პეტრიაევმა ერთი საინტერესო ფაქტი მომიყვა, რომელიღაც „ურალელ ბაგრატიონზე“: 30-იან წლებში რეპრესიებს რომ დამალოდა უცბად „ივანოვი“ გახდა, ის კი არა, როგორც პეტრიაევი მარწმუნებდა, ეს „ურალელი ბაგრატიონი“ კინაღამ ობკომის მდივანიც გახდა, მაგრამ მერე ვიღაცამ თავისი ნამდვილი წარმომავლობა გამოუჩხრიკა... ასე გახდნენ რუსეთში გადასახლებული ბაგრატიონები ჯერ „გრუზინსკები“, „მუხრანსკები“, „იმერეტინსკები“, საბჭოეთის ჟამს კი, უბრალო „რუსი მუჟიკებიც“... რას ვიზამთ, თვითგადარჩენის ინსტიქტი უპირველესი და ყოვლისშემძლეა ყველგან და ყოველთვის...

არც ევროპაში თუ ახლო აღმოსავლეთში გადახვეწილ ბაგრატიონებს დაადგათ უკეთესი დღე — ყველა მათგანი „გაფრანგდა“, ანდა, რომ იტყვიან, ქართველის გარდა, ყველაფერი გახდა, ტრაპიზონის და სტამბულის ბაგრატიონები კი, „ოღლებად“ იქცნენ...ერთი სიტყვით, XX საუკუნის ქართ-ტეხილებმა ბაგრატიონთა საგვარეულოს დიდი ზიანი მისცა. ისევ, აქ, ჩვენთან, საქართველოში უფრო გადაურჩნენ ამ ქარ-ტეხილებს და ქართული იდენტობაც შეინარჩუნეს...სადღეისოდ, ესეც ალბათ, გასათვალისწინებელი ფაქტია...

მაგრამ კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წყობილებისთვის ყველაფერს ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სწორად შეირჩეს ის სამართლებრივი ნორმები და პრინციპები, რაც სახელმწიფოს ნომინალური, ფორმალური მეთაურის სტატუსს და მასთან ერთად, საპარლამენტო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს

დაამკვიდრებენ. საქართველოს არავინ და არაფერი არ უნდა მართავდეს, გარდა ხალხის წარმომადგენლობითი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსი, „ერთა საბჭოს" რომ უწოდებდა ილია...

ისე, რომ აქაც ილია და მისი „საერთო ნიადაგის" თეორია უნდა ჩაითვალოს კონსტიტუციური მონარქიის იდეის საბოლოო დახვეწისა და ფორმირების ორიენტირად. ისიც ფაქტია, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილთან და სხვა „ფედერალისტებთან" ერთად, როგორ ცდილობდა ილია მის პრაქტიკულ განხორციელებას რუსეთში 1905—07 წლების რევოლუციური კრიზისის დროს. მაგრამ მესამედასელმა მარქსისტმა-ინტერნაციონალისტებმა ყველა მის იდეას, მათ შორის კონსტიტუციური მონარქიის ამ დიდ საშვილიშვილო იდეასაც, ბოლო მოუღეს და დღემდე ეს იდეა მხოლოდ იდეად რჩება კვლავ...

ისტორიის „თეთრი ლაქები" და პარადოქსები

იმდენ გაუგებრობებს ვხვდებით XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიაში, გიკვირს კაცს რანაირად შეიძლება გაუკუღმართდეს სრულიად აშკარად ნათელი აზრი. მაგრამ ესეცაა — იმდენად მოწამლულია ჩვენი გონება წინასწარ აკვიატებული იდეებით, თუ მთლიანად კონკრეტული ეპოქის რაღაც კონკრეტული იდეოლოგიით, რომ არც ესაა გასაკვირი.

ყველაფერი ეს ღრმა და ყოვლისმომცველ ობიექტურ ანალიზს თხოულობს. სამწუხაროდ, ჩვენი ეს ბოლო ორი საუკუნის „ძნელბედობა" ასეთ ანალიზს მოკლებულია. იქ იმდენი „თეთრი ლაქებია", ვერ დაითვლის კაცი. აქ ჩვენი ისტორიოგრაფია აშკარად მოიკოჭლებს არა იმდენად რაოდენობრივი, რამდენადაც ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ივ.ჯავახიშვილმა მოასწრო ამ კოლონიური პერიოდის საწყისი ეტაპის ობიექტური კვლევა 1919 წელს გამოცემული „საქართველო-რუსეთის ურთიერთობის" მეცნიერული ანალიზით, მაგრამ მერე ფაქტიურად ეს პროცესიც შეწყდა. არადა, მართლაც „ავგიას თავლასავით" არის გასაწმენდი ეს 200-წლოვანი და მეტი ისტორიული ხანა...

ჯერ ხომ ცარიზმის კოლონიური იდეოლოგია ამახინჯებდა ირგვლივ ყველაფერს, თავის თარგზე და სარგოდ იწერებოდა

ყველაფერი ათასი ცენზურის გავლით, მერე მასზე უარესი ბოლშევიკური „კლასობრივი ბრძოლის“ იდეოლოგიამ წალეკა ყველაფერი ეროვნული...

არადა, ეს 200 წელი ისეთი ხანაა, რომ ქართველი კაცი დღენიადაგ იმაზე ფიქრობდა, რით და როგორ ეშველა ქვეყნისთვის. აქ მწიფდებოდა ბევრი ისეთი იდეა და აზრი, რომელიც სწორედ დღეს წაადგება სამომავლო გზის გასაკვალად „ჩვენს კარგ ქვეყანას“... XIX–XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ–პოლიტიკური აზროვნება პირველ რიგში ამ კუთხით და მიმართებით არის საკვლევი და გასააზრებელი...

აქ მარტო ილია, „საერთო ნიადაგის“ თეორია და მთლიანად მისი მემკვიდრეობის გამოყენებითი პოლიტოლოგიური კვლევა არა მაქვს მხედველობაში. ილიამდეც და ილიას შემდეგაც რამდენიც გინდათ იმდენი ფაქტი და მოვლენა ელის ჩვენგან ობიექტურ კვლევას. ერთ–ერთი მათგანი ე. წ. „1832 წლის შეთქმულება“ და მისი შეგნებული, თუ შეუგნებელი დამახინჯებული კვლევა და გადმოცემაა. აქ მხოლოდ გამოძიების მშრალი მასალები გვაქვს დღეს სახეზე, რასაც დიდი ღვაწლი დასდო პროფ. გიორგი გოზალიშვილმა. მან ბრწყინვალედ აღასრულა ივ. ჯავახიშვილის დავალება, მაგრამ მათი განზოგადოება ვერცერთმა და ვერც მეორემ ვეღარ მოასწრეს...

მახსოვს თსუ „იდიალოგთა კლუბში“ და აგრეთვე 90–იანი წლების ქართულ პრესაშიც რამდენი კამათი მოგვიწია ძველი საბჭოთა ტრაფარეტის — დოდაშვილის და შეთქმულების ვითომცდა „რესპუბლიკური იდეების“ წინააღმდეგ. დღესაც ჩვენთან ბევრს მიაჩნია,რომ „სოლომონ დოდაშვილი არის პირველი ქართველი რესპუბლიკელი“, დოდაშვილიც და შეთქმულების მეორე იდეოლოგიც — ოქროპირ ბატონიშვილიც. ეს რომ წმინდა წყლის აბსურდია, ამის ანალიზი და მტკიცება უკვე ვნახეთ, ვნახეთ ისიც, რა უკუღმართად არის გაგებული მცხეთაში ნათქვამი სიტყვები — „ერთგვარი რესპუბლიკა“...

XXI საუკუნეს დღეს უკვე „იდეათა საუკუნეს“ უწოდებენ. ჩვენც, ქართველებს ვალად გვადევს ჩვენ, ჩვენი ისტორიიდან გამომდინარე იდეებს მივცეთ ხალხისა და ქვეყნისათვის სასარგებლო გზა–კვალი.

იდეა იდეად, მაგრამ ნებისმიერ იდეას ხომ განხორციელება სჭირდება. სხვანაირად ილიასი არ იყოს, „ცარიელი სიტყვა და იდეა უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია".

ასეთ „უქმ ვარჯიშად" რომ არ დარჩენილიყო იგი, ისე როგორც ილიას ახალი საქართველოს ეს მეტაფორული გააზრებაც — „სამეფო გვირგვინზე და ხმალსა და გუთანზე დაფუძნებული ახალი საქართველო", გასული საუკუნის 90-იან წლებში თსუ „ილიალოგთა კლუბმა" შეიმუშავა ამ იდეის განხორციელების კონკრეტული პროგრამა და მასზე დაფუძნებული კონსტიტუციური საფუძვლებიც. გამოვეცით სამეცნიერო კრებული — „ქართული სახელმწიფო", ჩავატარეთ რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციაციაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით მომავალი საქართველოს ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური იდეა უტოპიად რჩება, ისე როგორც ეს 1918-20 წლებში მოხდა. საკითხავია, რატომ? ყველა მოვლენას ამქვეყნად ხომ, თავისი ახსნა სჭირდება...

თქვენ წარმოიდგინეთ, „მეფის ინსტიტუტზე", „ჩაგვრისა და ექსპლოატაციის კლასობრივი იარაღის" ხალხში ინერციით გადმოცემული მესამედასური ყალბი წარმოდგენების გარდა, აქ დიდი უარყოფითი როლი ითამაშა და დღესაც თამაშობს თვითონ ე.წ. „მონარქისტების" დამახინჯებული და მეტად პრიმიტიული წარმოდგენები. ისე, რომ „ანტიმონარქისტებთან" ერთად და შეიძლება მათზე მეტადაც, ამ დიდ იდეას „მონარქისტების" პრიმიტივიზმმა ავნო ადრეც და ახლაც... ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი პარადოქსი ესეც გახლავთ...

ყოველშემთხვევაში, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე „მონარ-ქისტებმა" იმდენი „სათავადაზნაურო საზოგადოებები" შექმნეს, აშორდიას შეშურდებოდა ალბათ, ლამის ყველა ქართველს რომ „თავადობის სიგელ-გუჯრები" ჩამოურიგა ამ 200 წლის წინ... პარალელურად, გაჩნდა ამ „საზოგადოებების" სრულიად გაუგებარი ათასგვარი სოციალურ-ეკონომიკური პრივილეგიების პრეტენზიებიც... ამ იდეის უკეთეს გასარჟენებას და დისკრედიტიზაციას ვერავინ მოიფიქრებდა ხალხისა და ქვეყნის ამ გაჭირვებული ყოფის ჟამს. პრივილეგიების აღდგენა-დამკვიდრებაზე დაიყვანეს მათ

ეს დიდი პოლიტიკური იდეა?!... ასეთი გზით ეს იდეა არასოდეს განხორციელდება...

უნდა გავიგოთ და ხალხსაც გავაგებინოთ: კონსტიტუციური მონარქია საქართველოში რაიმე პრივილეგიების და მეფობის აღდგენა არაა! იგი ჩვენი ისტორიის გამთლიანების „ძნელბედობით წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართველთა წეს-წყობის" აღდგენის, „ძველი საქართველოთგან ახალი საქართველოს აღმოშობის" გზა და საშუალებაა! ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის" თეორია, მისი ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპებიც მაშინ განხორციელდება, მათ შორის ისიც, რაშიც ილია ქვეყნის ხსნას ხედავდა — „ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია!"

ეს თეორია, მისი ეს და ნებისმიერი სხვა პრინციპი დავით აღმაშენებლის და გიორგი ათონელის „ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვის" ათასწლოვანი ტრადიციის აღდგენა-გათავისება და გათანამედროვეობაა. სხვა მისია კონსტიტუციურ მონარქიას ჩვენში არა აქვს...

მეფობის, მონარქიის აღდგენაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, ვწეროთ და ვიკამათოთ — ვილაპარაკოთ, არამედ იმაზე, თუ რა სწორი და ეფექტური სამართლებრივი ბაზა და კონსტიტუციური პრინციპები მოვიფიქროთ და დავამკვიდროთ, რომლებიც „ძველი დიდებული ოქროვანი ხანიდან" ხალხს და ქვეყანას ახალი ოქროვანი ხანისკენ წაიყვანს. ილიას „კარგ ქვეყანასაც" მომავალი მაშინ ექნება მხოლოდ...

გავიხედ-გამოვიხედოთ, ინგლისიდან და ნორვეგიიდან იაპონიამდე, ყველა ნორმალური, პოლიტიკურად და სოციალურ-ეკონომიკურად სტაბილური და განვითარებული ქვეყანა ამ გზით აღწევს წარმატებებს. აბა, დღეს ვინმე თუ იტყვის, რომ ამ ქვეყნებს იმპერატორი, ან მეფე მართავს?!... ჩვენი ისტორია გვაძლევს შანსს, რომ ჩვენც მათ რიგებში ჩავდგეთ და ეს შანსი არ უნდა გავუშვათ ხელიდან. ამისკენ მოგვიწოდებს ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი...

„ისტორია ჭეშმარიტის მეტყველება არს" — ამ რწმენით და პრინციპით იწერებოდა „ქართლის ცხოვრება" და ასეც უნდა

გაგრძელდეს შემდეგშიც. დავით აღმაშენებლის „ანდერძში“ მრავალთაგან ასეთ რამდენიმე ნიშანდობლივ სიმბოლიკასაც ვხვდებით ახლანდელი თაობებისთვის:

„შიომღვიმის მონასტრისადმი ანდერძში“, ვკითხულობთ: „...ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის გაუწესებია, მე ხოდაბუნი შემიწირავს მუხრანსა წმიდისა სვიმონ საკვირველმოქმედისა და, რომელმან სამი დღისა მკვდარი აღმადგინა. იგი, ვითარცა თვით არსენი განაწესის, ეგრე იქნას“.

მუხრანის ეს მაშინდელი „ხოდაბუნი“, ანუ, სასოფლო-სამეურნეო კორპორაცია, დავით აღმაშენებლის „ანდერძით“ დაბერი არსენის „განაწესით“ შიო მღვიმის „სვიმონ საკვირველმოქმედის“ ბერების საკუთრებაში გადასულა. ამით კარგად ჩანს მაშინდელ საქართველოში „სრულფუძიან ქართულ კომლზე“ დაფუძნებული „ხოდაბუნების“ ადგილი და როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში: „ხოდაბუნი“, დღევანდელი ებრაული „კიბუცის“ მსგავსად, ფუტკრის სკასავით ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ორგანიზმად კრავდა ცალკეულ რეგიონებსაც და მთელ ქვეყანასაც.

სწორედ ეს განაპირობებდა ძველი საქართველოს სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ასეთ ხოტბას რომ ასხავს ილია სტატიაში — „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „მუხრანის ხოდაბუნი“ წარმოადგენდა მთელი ამ სამონასტრო კომპლექსის არსებობა-განვითარების წყაროს და საშუალებას. ასე იყო ბუნებრივია, ქვეყნის სხვა მონასტრების მიმართებაშიც.

„ანდერძიდან“ ისიც კარგად ჩანს, თუ რატომ, რა დამსახურების გამო მიიღეს ბერებმა ასეთი წყალობა: მათ, კერძოდ კი, „სვიმონ საკვირველმოქმედის“ ბერებმა უმკურნალეს მეფეს და „სამი დღისა მკვდარი აღადგინეს“. მართლაც ცნობილი ფაქტია — მეფეს ნადირობის დროს ცხენმა, ნადირისაგან დამფრთხალმა, აღვირი გასტაცა და თავაწყვეტილი ჭენებისას მხედარი ხეს შეაჯახა. კლინიკურ სიკვდილში მყოფ მეფეს კი, ბერებმა უმკურნალეს და სამი დღის შემდეგ, საადაოს მოაბრუნეს — „მკვდრეთით აღადგინეს“.

დავით აღმაშენებლის „მკვდრეთით აღდგენის“ ამ სიმბოლიკას ჩვენ დღეს ვუკავშირებთ „ხოდაბუნის“ ეროვნული სა-

მეურნეო ტრადიციის აღდგენით ეროვნული ეკონომიკის აღდგენა-აღორძინებას და მის შემდგომ სტაბილურ განვითარებას. რა თქმა უნდა, ყველაფერს ამას კარგი მოფიქრება უნდა, რათა ის ძველი „ხოდაბუნი" ორგანულად დავუკავშიროთ თანამედროვეობას. ამ პრობლემაზე ჩვენ ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევაც გვაქვს და ვფიქრობ, იქ კარგად არის დასაბუთებული ყოველივე...

დავით აღმაშენებლის მეორე, ე.წ. „სამემკვიდრეო ანდერძში" ვკითხულობთ ასეთ ლაკონურ ფრაზას: „...აწ შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრიმ სრულყოს ყოვლითურთ. საუკუნოდ ნურას მოაკლებს..."

ეს ანდერძიც აღსრულებას თხოულობს არა მარტო მა-შინდელი, არამედ დღევანდელი ქართველობისგანაც. ეს იქნება ის, რასაც ილია „ძველი საქართველოდან ახალი საქართველოს აღმოშობას" უწოდებს. თუ როგორ შევძლებთ ამას, მასზე იქნება დამოკიდებული ჩვენი და ჩვენი ქვეყნის სამომავლო ბედი...

მემკვიდრეობითობა ბუნებისა და საზოგადოების, მოცემული ერისა და ცალკე ინდივიდის უნივერსალური კანონია და მისგან განდგომა არ ეგების. სხვანაირად, აკაკის „ღამურას" როლში აღმოვჩნდებით. ამის ნიშნები კი, დღევანდელ გლობალისტურ საქართველოში აშკარად ჩანს. ამაზეც გვმართებს ფიქრი და განსჯა...

ახალი თაობა — „ახალი ქართველები" მოვალენი არიან ამ მხრივ ყველაზე მეტად. მათში არის დღეს ყველაზე მეტი ენერგია, სულიერი და მატერიალური ძალა სამომავლო გზისგასაკვალად. ამიტომ, ამ „ახალი ქართველების" ხელშია ამ 900 წლის წინ დაწერილი დავით აღმაშენებლის „ანდერძის" ბედიც...